

საქართველოს
საბავშვო

საქართველო



გამოდრავს

ქაიხი, იუნიხი და ივლიხი 1920 წ. კ. 6.



შინაარსი

ქურნალ „ჯეჯილი“-სა:

I. გვიშველე დედავ. სურათი	2
II. ალერსი, ლექსი მიმქრალისა	3
III. მამალი და მიმინო (თარგმანი) ტასოსი	4
IV. ვერცხლის ზარი (თარგმანი)—ე. ხუნდაძისა	6
V. ნადირობა—ილ. ალხაზიშვილისა	11
VI. მურზილკას თავგადასავალი ანუ ჯუჯათა სამეფო (თარგმანი)—ნორა დიასამიძისა	16
—————	
VII. შამილა, ლექსი შიო მღვიმელისა	23
VIII. ვარყას გაუმარჯოს (დასასრული) ყარ. ჩხეიძისა	25
IX. ცხვირსახოცის სამშობლო (შემდეგი იქნება), თარგმანი მ. იაშვილისა	30
X. ყარაბოღლი, ზღაპარი (დასასრული), ჩაწერული ქეთო მირიანაშვილის მიერ	38
XI. გასართობი—რუსულანისა	46
—————	
XII. ახ, ჩემი ია! —ცკვიტისა	47
XIII. დანგრეული ოჯახი (შემდეგი), ეკ. გაბაშვილისა	51
XIV. მაროს წვეწვლება—ელენესი	54
XV. ბიძა ჩემი. ეიული, მოთხ. ვიუ-დე-მოპასანისა, ფრანგულიდან—ეკ. მესხი	59

ქ უ რ ნ ა ლ ი

1920 წ.

ჯეჯილის

1920 წ.

ხელის მომწერლების საპურადღებოთ

იხილე მეოთხე გვერდზე.

3-40



საქართველო
ნახატებიანი
ჟურნალი


იზარდუ მწვანე ჯუჯილთ,
ღაპურდი, გახდი ყანათ!
ი. დ.

F-5828 385

მაისი, ივნისი და ივლისი, 1920

წალიწადი მმოსდათეათმებთ.

ქუთაისი	№ 927
თბილისი	№ 1137
სამცხე	№ 9598



— გვიბეულე, *დედავ!
— აი თქვე დაჩრებო!



ა ღ ე რ ს ი.

(ჩემს ლილვას)



მე ისე მიყვარს ჩემი ციციუნა,
ვით დედა ნუნუს, მკლავით ვატარებ.
ნურგინ შეხედავს შურიან თვალით,
როცა რძეს და პურს ვაჭმევ-ვახარებ.

ღექსებსაც ვეტყვი, ზღაპრებსა ბევრსა,
წერა-კითხვასაც ვასწავლი თანა.
ბაღში წავიყვან ჩემს ციციუნას,
გასეირნება არ უნდა განა?

მეუბნებიან მახინჯიაო,
მე-კი მის თვალებს ვარსკვლავს ვადარებ...
რა ვქნა რომ ასე მიყვარს ციციუნა,
ვით დედა ნუნუს მკლავით ვატარებ.

მიმჭრალი.



მამალი და მიძინო.



რთხელ მიძინომ უთხრა მამალს:
— მართალია გარეგნობით სილამაძე არ ვაკვლია, მაგრამ გული არ კივარგა, უნიაკი ხარ და შენი ჩამომავლობა ეოველთუის ვერაგი და უმაღური ეოფილა.

— რა საბაბი გაქვს რომ ღაზარაკობ—მამლები ვერაგები და უმაღურები არიანო, უნახუსა მამალმა,—რა ნახე ჩვენში ისეთი, რომ ავრე თამამთ ამტკიცებ.

— ადამიანები, უნახუსა მიძინომ, ბევრ სიკეთეს გიძვრებიან, მუდამ გკვებავენ, მუყაითათ გივლიან, მათ კარმიდამოში მოსვენებით ცხოვრობთ. უშიშრათ, უდარდელათ, მაგრამ როდესაც კი თქვენი ზატრონი მოკისმობთ, არა თუ არ მიეკარებით,—გაურბინართ კიდევ, სახლის სასურავებში იძალებით. თუძცა ჩვენ გარეულ ფრინველებათ გკოვლიან, თუ ჩვენ ცოტა ხნით მანც დავეოფთ ადამიანებთან და იმათი მკოხებით ვიკვებებით—მადლობას ვუხდით. ჩვენი ნუბით ვუთმობთ იმათ დავლას და თუ ნადირობის დროს თვალს ამოგვეფარებიან, თავკამოდებით დავეძებთ, ^{სანამ} სანამ არ ვიპოვით.

— ჩვენი ურჩობა და უმადლობა ძალიან ადვილი ასახსნელია, მიუგო მამალმა — თქვენ სომ, შიშინო, ხოლო, არც ერთსეულ არ გინახავთ თქვენი მოძმენი ცეცხლსე შემწვარნი. ჩვენ კი ყოველ დღე ვხედავთ, როგორ აშიშინებენ მათ შამოურსე აკებულს. თქვენ რომ ერთსეულ მინც იგრძნოთ ამგვარი სიმწარე ადამიანებთან მიკარების ხალისი დაგეკარგებათ. თუ ჩვენ ვცდილობთ ადამიანების თავიდან აშორებას და ერთი სახურავიდან მეორესე გადავრბივართ, თქვენ მაშინ ერთი მთიდან მეორესე გადავრბინდებით.

ტახო.





ვერცხლის ზარი.

(ზღაპარი)



ხოვრობდა ერთი ზატარა
იანი, რომელიც დღიდან
საღამომდი ცხვრის ფარას
უვლიდა და თავს ამკვარ-
ათ იკვებებდა.

ერთხელ, შუადღისას, ზატარა იანი ხის ძირას
იჯდა და უცებ შეამჩნია, რომ ბაღასში თითქოს რა-
ღამაც იელვაო; ის დაიკუსა და ბაღასებში ვერცხ-
ლის ზარი წახა. გაუკვირდა ბიჭუნას, აიღო და
კანძობია: ისეთი შესანიშნავი და საამური წკარუნი
მოისმა, როგორც იანს თავის დღეში არ გაგონა
და როდესაც იანი ზარის საამურ სმას უსმენდა, მას
კადავიწვდა ეოველკვარი გაჭირვება, დამცირება და
თავს ისე კარგათ გრძნობდა.

— აი კანძი!—წამოიყვირა მან;—რე მშვენი-
ვი ზარია.

მოგლი დღე იანი თავისი კანძით თავს ირთობ-
და და ზარის ეოველ დარწკუნებასე, მის წინ სხვა
და სხვა სახასობები ხნდებოდა, ასე რომ იანი ეო-
ველ მეფესე უფრო ბედნიერთა გრძნობდა თავს.

როდესაც საღამო მოახლოვდა, იანს ცხვრების
ფარა შინისაკენ უნდა წაერეკა; ის ადგა და ზარი
დაარწკუნა. იმ წამშივე მოგლი ფარა მის წინ მოკ-

როგდა და შინისკენ გაეშურა; იანი კი ფარას უკან
 გაბრუნდა. აქ კი მიხვდა იანი, რომ ამ ზატარა
 მოძახდოებელი ძალა ჰქონდა. მაგრამ ეს კი მანც
 ვერ გაეგო, საიდან უნდა გაჩენილიყო ეს საკვირ-
 ველი ზარი.

ზარი კი ზატარა ქონდრის კაცს ეკუთვნოდა, რო-
 ძელიც მოგებში ცხოვრობდა. ეს ზატარა ქმნილებანი
 (ქონდრის კაცები) ჩანდული არიან ეავისოვარ ტანი-
 სამოსში და თავსე წვეტიანი კვარახსინები ჰსურავთ;
 ამ წვეტიანი ქუდების ბოლოში მობმულია ზატარა
 ვერცხლის ზარი. ქომის და კვარახსინის დაკარგვა
 ქონდრის კაცებისთვის დიდ უბედურებას შეადგენს,
 რადგან ვინც ამ ნივთებს ნახავს, ქონდრის კაცის
 მძრძანებელი ხდება. ზარის დაკარგვის შემდეგ კი
 ქონდრის კაცს ნახევარი ძალა ეკარგება.

რა თქმა უნდა ჩვენი ქონდრის კაციც ძეგად მუ-
 წუხებულნი იყო. ის ვოჯელგან ეძებდა თავის ზარს,
 მაგრამ მისი ძებნა სულ ამაო იყო.


ქონდრის კაცმა იფიქრა; შეიძლება. ჩემი ზარი
 ევაგმა ან კაჭკაჭმა მომტაცაო, უცებ ჩიტათ იქცა და
 გაფრინდა ეველა ბუდეების დასათვალიერებლათ მოელ
 ქვეყნებში, — მაგრამ ზარი არსად ხვანდა.

ღრმით დამწუხრებულმა ქონდრის კაცმა ის შინ-
 დორი გადაიფრინა, სადაც იანი ცხვრის ფარას ამო-
 კვებდა. ამ დროს მას რამოდენიმე ზარის ხმა მოეს-
 მა ერთათ; ეს ზარები ცხვრებს კისერსე ჰქონდათ
 ძებმული. ქონდრის კაცმა მოწვევით დაიწყო სიძღურა:

„ცხვრებო, ბატანებო, სომ არ იცით

სად გაქრა ჩემი საკვირველი ზარიო“.

იანს მოესმა ეს სიძღურა, თვალები ძაღლად აღაღ-
 ა.



ერო და ძალიან გაუკვირდა, რომ ამას ზატარა მო-
ვაგისფრო ჩიტუნია ძღვეროდა.

— ნეტავი რომელ ზარზე სწუხს და ზრუნავს
— სთქვა იანმა, — ნუ თუ ჩემსაზე?

ძან ამოიღო ჯიბიდან კურცხლის ზარი და დააწ-
კარუნა. ჩიტათ ქცეულ ქონდრის კაცს სმინლათ
გაეხარდა ზარის ნახვა, მაგრამ უბედურება ის იყო
— არ იცოდა როგორ გამოეკეტებია იგი იანისთვის.

იფიქრს იფიქრს და კეთილ, მოაღერსე დედაბ-
რათ იქცა.

იანი კი სულ ზარის წკარუნში იყო და მის
ხმას გულმოდგინეთ ვურს უკვებდა. დედაბერი მიუ-
ახლოვდა იანს და აღერსით უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო სავგარდლო ბიჭუნა, რა
მშვენიერი ნივთი გაქვს, მე სწორეთ ასეთ ნივთს და-
კვებდი ჩემს ზატარა შვილ-შვილისთვის. როგორ
მოძვიდი ძაგ ნივთს, კეთილო ბიჭუნა?

— არავითარ სიმდიდრეში არ გავსცვლი მე ჩემს
ზარს, სთქვა იანმა, — მე ის თითონ მოძწონს.

მაშინ მოხუცმა კლეხის ქალმა ჯიბიდან ერთი
ჭეშვი კურცხლის ფული ამოიღო და იანს უთხრა:

— დაბიგდე ვური, ჩემო კარგო, მე ბუნწი ქა-
ლი არა ვარ; დღეს ბაზარში კარგა ბლომით ავიღე
ფული და შენც, ძაგ ზატარა ზარში დიდ ფასს მოგ-
ცემ. აი, აქ იმაზე მეტი ფულია, რასაც შენ ერთ
თვეში აიღებ.

— არა, ბებიან-ჯან — სთქვა იანმა, — შეინახე ეგ
ფულები ჯიბეში, ზარი კი ისევ ჩემი დარჩება. შენ
მგონი არც კი იცი, ეს რა ძვირფასი განძია...

— მას რომ დავაწკარუნებ, ჩემი ცხვრები ისე იქ-

ცეკვიან, როგორც მე მსურს. კარდა ამისა ამ ზარის წყალობით, ჩემთვის დრო სრულიად შეუძენა და მიწების, მიტომ რომ ის თვალწინ მშვენიერ მოხუჩნებებს მიძღვის და სიხარულით და ოცნებით ავსებს ჩემს გულს...

დედაბერი მისვდა ბავშვის ფულით მოხიბლვა უნაყოფო იყო და სხვა გზას დაადგა: მან ჩურჩულით უამბო იანს ქონდრის კაცების ცხოვრებაზე და მათ ძლიერებაზე.

— ადამიანისთვის ზატარა ქონდრის კაცების დახმარება უფრო ძვირფასია, ვიდრე ოქროს მთელი მთები, ოქრო მალე ჰქრება და ბევრი მწუხარებაც მოაქვს, ქონდრის კაცები კი ყოველთვის მსად არიან დახმარებაზე. აი, მე ვიცი რომ, ქონდრის კაცებს ერთი ჯადო-კომბალი აქვთ. რომელ მწვემსაც არ უნდა მისცე, ის კომბალი ეველას გამოადგება. ასეთ მწვემს ცხვრები გაცილებით უფრო სუქნები ეეოლება თავის ძეგობლების ცხვრებზე და მათ მატელიც კარგი ექნება. კარდა ამისა ამ კომბლის წყალობით არც ერთი ცხვარი უარს არაოდეს არ მოსცილდება და არ დაიკარგება.

იანს თვალები გაუბრწყინდა. დედაბერმა კი მამხივ კამოილო მოსასხამიდან ისე უცნაურათ გამოჭრილი კომბალი, რომლის მსგავსი იანს თავის დღეში არ ენახა.

— აი, შესედე — სთქვა დედაბერმა — წაიღე ჩქარა, კეთილო ემაწვილო და მე კი ვერცხლის ზარი მომეცა.

იანმა სიხარულით დასტაცა ხელი კომბალს, ვერცხლის ზარი კი დედაბერს მისცა. როგორც კი

აიღო ზარი, ის რადაც უცნაურ მქნილებათ
 იქცა. ისეთი მსუბუქი და ჭკეროვანი შეიქმნა
 გორც ბუმბული, აფრიადდა მადლა და იანის ვაკ-
 ვირვებისაკან გაფართოვებულ თვალებს მიეფარა.
 მაგრამ იანი მაინც გრძნობდა ხელში უცნაურ კომ-
 ბალს იმის დასამტკიცებლათ, რომ ევეღაფერი ეს
 'ისმარი არ ეოფილა.

ზატარა ეავისფერი კაცუნას სიტყვა ასრულდა;
 ქანდრის კაცებს სასოგადოთ არ შეუძლიანთ ტყუი-
 ლის თქვა: იმათ რომ ეს ჩაიღინონ, უთუთ ბეჯ-
 ეათ, გველათ, ან სსვან ქვეწარმავლათ ვადნაქცევინ.
 კომბალს ეველა ის თვისება აღმოაჩნდა, რომელიც
 მას დედანბერმა მიაწერა და მალე იანისც მდიდარი და
 ბედნიერი შეიქმნა. არავის არ ჰეავდა ისეთი ცხვრები,
 როგორც მას, და არც ერთ ცხვარს არ ჰქონდა ისე-
 თი შესანიშნავი მატელი, როგორც იანის ცხვრებს.

ცხადი იყო, რომ ზატარა ეავისფერი კაცუნები
 ცდილობდენ მის დახმარებას.

სამეციერთ იანი ვერ-ღა გრძნობდა იმ ხიხა-
 რულს, რომელიც უცნაური ზარის წკარუნის დროს
 ვანიცდიდა.

გ. ს.





ნ ა დ ი რ ო ბ ა.

ირველათ რო ადამიანი გაჩნდა ნადირობაც მაშინ დაიწყო. პირველყოფილი ადამიანი ნანადირევით ცხოვრობდა.

ჩვენშიაც ძველის ძველათვე გავრცელებული იყო, ხოლო ჩვენს მეფეებს და დიდებულებს საუკეთესო გასართობათ, კაემნის გასაქარვებლათ ნადირობა პირველ საქმეთ შიგნით.—ამათი ეზო სავსე იყო ქორ-მეძებობით. მწევარი ძაღლები ხო დიდათ ფასობდა. ცალკე ბაზიერა მოხელენი ჰყავდათ—აზნაურიშვილები, ესენი წურთვნიდენ მონადირე ფრინველებს: შავარდენს, მიმინოს, ქორს და სხვ. უფრო შეძლებული მეფე-დიდებულნი ყურშას ინახავდენ, ამას ჰეპარდს ეძახიან ლათინურათ, ლომის ნათესავია.—ხალხი ეხლაც მღერის:

„ყურშა გავგზანე სანადიროთა,
ნადირს მომიტანს სასადილოთა.“

ყურშას მომგლეღი და გამწურთნი ყოველთვის სპარსელები იყვენ მეფის კარზე. ყურშა მიჰყავდათ ყარაიაზში ჯეირანზე სანადიროთ, მიუტევდენ და ვიდრე არ დაეწეოდა თავს მოიკლავდა.

მე თითონ მახსოვს ამ 15 წლის წინეთ ერთი თავადიშვილი იმდენ სანადირო ძაღლებს ინახავდა, რომ დღეში ერთი ძროხა არ ყოფნიდათ საქმელათ.—



საზოგადოათ უწინ ჩვენი თავად-აზნაურობაში ნადირობის ენის ავთამყოფობათ იყო გადაქცეული მახსოვს იმერეთში ქალი და კაცი ქორ-მეძებრით თავ-გატაცებით ნადირობდნ.

მახსოვს ჩემს ახალგაზდობისას კახეთში (გურჯაანში) ერთი კოჭლი ბატონი. დილით ადრე რო წავიდოდა, რამდენიმე საათის შემდეგ შევხედამდი და კურდღელი, 3-4 ხოხობი გადუქილია და მოაქვს სასადილოთ.

იმავე სოფელში შალიკაშვილმა ტყეს ეკლიანი მართული შემოავლო და შიგ ხოხბები მოაშენა. ისე შეეჩვივნენ კაცის ფეხს რომ შინაურ ფრინველივით აღარ ერიდებოდნ. სამწუხაროთ რევოლიუციის დროს ტყეც გაჩეხეს და ხოხბებიც ჩახოხბეს.


წინეთ, ყველა პოლკში თუ ბატალიონში, განსაკუთრებული ჯგუფი მხედრებისა, მონადირეთა რაზმი, არსებობდა და ძაღლებსაც ბევრს ინახავდნ. ესენი ნადირობდნ დათვებზე, ირმებზე, გარეულ ღორზე (ტახზე) და სხვ. ნადირზე.

მახსოვს საცხენესში რო ვწავლობდი მონადირეობის რაზმის უფროსი კაპიტანი ძაღლმა თოფით მოჰკლა. ღამიანათ შესდგომოდნ დათვზე ნადირობას, მშემ რო ამოიწია დაყარეს ნანადირევი და თითონაც გარს მოუსხდნ, საუზმეს შეექცეოდნ, თოფებიც ძირს მიწდორზე ეწყო, ძაღლმა ფეხი დაადგა ჩახმახს, იგრიალა და ტყვიამ კაპიტანს ღვიძლი შეუწვრია.

ახალგაზდობას მეც მჭირდა მონადირეს ციებ-ცხელება, გავიჩინე ორ ლულიანი თოფი, მეძებარი ძაღლი (სეტერი) შავი უნიშნო, მაგრამ კარგი მონადირე. კი ვერ გავხდი.

ერთი შემთხვევის შემდეგ სრულებით ხელი ავიღე ნადირობაზე.

ზამთარი იყო. მე და ჩემი ნათლიმამა (პოლონელი) დილა ადრიან წავედით იხვებზე სანადიროთ.




ჩავედით ჯავახეთის მტკვრის ხეობაში, ახალქალაქის ახლოთ, ბავრის ხიდის ქვემოთ უცბათ კლდიდან რდელი გამოვარდა, ესროლა იმან, ვესროლე მე, აი შენც არ მომიკვდე, კურდელი თავ გადაგლეჯილი გარბოდა. გამოუდგეკით, დავეწიეთ, მაგრამ კურდელმა ამ დროს ამირან გორას (ტავშან-ტაფა ანუ კურდელის გორა) მიმართა და ისე გარბოდა აღმართზე, რომ მე თავი დავანებე, ხოლო ნათლიმამა ვერას გზით ვერ შევაჩერე—უშველებელ აღმართს ფეხდაფეხ მისდევდა თითქმის ორი ვერსი. ავიდენ მთის თავზე, ვაკეზე, აქაც ვერ დაეწია, მაგრამ ახლა კი ბედმა მონადირეს გაუღიმა, კურდელი თავქვე დაეშვა. მთის მეორე მხარეზე. ჰო და რაც აღმართზე ვერა დააკლო რა, დაღმართზე მონადირემ გაიმარჯვა და ერთ საათს უკან მხარზე გადაკიდებული კურდელით გამომეცხადა.

შევადარე ჩემი თავი ამ ჭეშმარიტ მონადირეს. ვიცოდი რო აბაზათ, ან გაჭირდა ექვს შაურათ ჩემს ნათლიმამას ყოველთვის შეეძლო კურდელი ეყიდნა ბაზარში. მაშასადამე რა საშინელი ყოფილა ის ცეცხლი და ჟინი მონადირესი, ძნელი წარმოსადგენია.

*
*
*

მთელს საქართველოში უწინ ჩვენი მეფეების დროს, როგორც **სანადირო ადგილი** განთქმული იყო თბილისის ქვემოთ მდებარე **ყარაიზი** და მისი მიდამო. — აქ მხოლოდ მეფეთა და დიდებულთ ჰქონდათ უფლება ნადირობისა. მათ შემდეგ მემკვიდრეობითი გადავიდა კავკასიის მთავარ მართებელთა ხელში, რომელთაც დაყორდნილი ჰქონდათ და დანიშნულ დროს, უფრო შემოდგომობით, ნადირობდენ.

ყარაიზში ბუდობს იშვიათი ფრინველი **თურაჯი**, **ხოხობი** აუარებელი. ხოლო რაც შეეხება **ჯეირანს**, ხშირად შეხვდებით რომ მთელი ნახირი 15-30 არხენად სძოვს, ვიდრე თოფი გავარდება და ადამიანის



დაუნდობელი ხელი გულს გაუნგრევს მათს რომელიმე ამხანაგს. — ბლომათ არის **ლორი** (ტახი), **ირემი** და **მეტი** სხვ. ხოლო რაც შეეხება წვრილმან ფრინველებს — მეტადრე ტბა-გუბე ქაობებისას, სიუხვით ყველა ადგილს სჭარბობს, აუარებელია **მწყერი**, კურდღელს ხომ ფეხს ვერ აუქცევ. —

პროფესორმა ბაღდანიძემ განგებ შეისწავლა ჩვენი აქაური ფრთოსნები. გამოკვლევამ აღმოაჩინა 400-მდე სხვა და სხვა გვარი ფრინველი, რომელიც აქ ბუდობენ და ზოგიც საზაფხულოთ მოდის სტუმრათ სამხრეთ და ჩრდილო ქვეყნებიდან. —

დასავლეთ საქართველოში, რიონის სათავის ზემოთ, მამისონის გადასავალზე ბუდობს მეტად იშვიათი ფრინველი შურთხი (გარეული ინდოური) აქვე მთებში ცხოვრობს **არჩვი** (გარეული თხა).

მთიულეთის მთებში ხო დიდად განთქმულია **ჯიხვი**, მისი ყანწებით რო ღვინოს სმენ. ბათუმის, ქობულეთის, ფოთის და საზოგადოთ შავი ზღვის პირებზე დღესაც ბლომათ შეხვდებით ხოხბებს და რაც უფრო საგულისხმოა, **ოქროს ხოხობიც** ბუდობს. დანარჩენი ფრინველობა გემრიელის ხორციით უმრავლესზე უმრავლესია. შეგვხვდება, რა თქმა უნდა, გარეული ბატი, იხვი. — ციხის ძირის ტყეში **ტახზე** ნადირობენ. აქ დათვიც იცის.

ოზურგეთის, სამტრედიას, ქუთაისის და ყვირილას მიდამოებში ძლიერ ნაკლებ ხვდება ფრინველი. მე თითონ უწერამდე ავედი და ტყეში თუ გზაში ერთი ფრთოსანიც არ შემხვედრია, ეს აიხსნება იმით რომ ხალხი გამრავლდა, ტყეები გაანადგურეს, ან ყანათ აქციეს. სოფ. **ტოლა** არჩვის მწვადით გამიმასპინძლდა. —

* * *

კარგ სანადირო ადგილებათ ითვლება: სურამი, გორი; მცხეთა ე. ი. ამათი მიდამოები. — გორის ზემოთ ლიახვის ხეობის ქალა ლექსათ დარჩა ხალხში:



„ჭალა იყო სარჩო ჩვენი სანადირო იგი ტყეო“ მაგრამ ეხლა ამ ქალით თავს ველარავინ ირჩენს. განთქმულ არიან ხეობები: ქსნისა, ატენისა, ლი-ახვისა, არაგვისა და სხვ. ბევრი მონადირე საიდუმლოთ ინახავს სად რა ფრინველიც შეიგულა და დროს ელის. შემოდგომობით ქსნის სადგურზე მონადირეები ბუ-ზებივით ირევიან.—

ღართის კარსაც (მცხეთის და მუხრანის შუა) ძრიელ ეტანება მონადირე.—

მესხეთ-ჯავახეთი არც ერთს მაზრას არ ჩამოუვარდება ფრინველის სიუხვით. მეტადრე ჯავახეთში 5-6 ტბა არის, ხოლო გუბე-ქაობები აუარებელი. აქ ყველგან ნახავ დიდძალ ფრინველს. კარძახის ტბა სავსეა გარეული ბატით, მაგრამ მათზე ნადირობა მეტად ძნელია, ახლო არავის იკარებენ მორიგი დარა-ჯი ბატები.

საზოგადოთ ამ მხრივთაც საქართველო ძრიელ მდიდარია და რა თქმა უნდა არავის აღეკრძალება უწყებულ დროს ნადირობა და ნანადირევის გაყიდვა ბაზარში.

ევრობაში ბევრი, ძრიელ ბევრი ოჯახი ამ ხელო-ბით სცხოვრობს.

მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მოაწეს-რიგოს ნადირობის საქმე—დეე ყარაიაზშიაც ყველას ჰქონდეს ნადირობის უფლება, მაგრამ ერთის პირობით: იშვიათი ფრინველები და სხვა ცხოველები მთავრობამ თავის მფარველობის ქვეშ უნდა მიიღოს ახლავე. უნდა აღეკრძალოთ ნადირობა და არ მოკლან: თურაჯი, ოქროს ხოხობი და საზოგადოთ ხოხობს უნ-და გავუფთხილდეთ. არ უნდა მოკლან შურთხი—გარეული ინდოური, არჩვი, ჯეირანი, ირემი და სხვ. იშვიათი ცხოველები. ხოლო როცა გამრავლდებიან, მაშინ დაერთოთ ნება არა მგელ-კაცურათ, არამედ ადამიანურათ ნადირობა.

ჩვენ რო ზოგი მონადირე ვიცით—სიხარბით და-ბრმავებული, ფულის სიყვარულით გატაცებული და უნდობლათ გაანადგურებს თუ გინდ 5-6 ჯეირანს, 15-20 თურაჯს, 30-50 ხოხობს და სხვ. თუ კი შეუშვით ყარაიაზში. ამ გვართ მოისპობა, გაწყდება იშვიათი ფრინველიც და ცხოველიც, თუ რომ ახლავე ყურა-დლება არ მივაქციეთ.

ილ. ალხაზიშვილი.



გურჯილკას
თავგადასავალი
ანუ
ჯუჯათა სამეფო.

კაცუნები ღარიბ ქალს შეხვდებიან
და ფუტკრებს შეუგროვებენ.



ამის გასათევით კაცუნები ისევ
სასახლეში დაბრუნდნენ. მოკერსე-
ბულათ მოთავსდნენ ხალიჩებსე და
ბალიშებსე, რომელიც სასახლის
ეოველ ოთახებში მოფენილი იყო.
მოქანცულეებმა ისე ძაკრა დაიძი-
ნეს, რომ მსოფლით მაშინ გაჟ-
ღვიძათ როცა მოსამსახურეებმა ხალი-
ჩების გაბერტევა დაიწყეს.

გარეთ გამოსვლისთანავე ჯუჯებ-
მა შენიშნეს ღარიბათ ჩაცმული ქალი ბავშვით სელ-
ში. ქალი რაღასედაც მწარეთ ტიროდა.



— ეს დედაკაცი უთუოდ კარეულთაგანია, დასწვიტა დიდ ცხვირს ექიმმა.—მერე იცით შებობს არიან კარეულები?

ეს არავინ არ იცოდა!

— კარეულებს ინდოეთში—ახსნა ექიმმა—ქმსინან ეველასე დაბალ წრის ხალხს, რომლებიც სასოგადოებიდან განდევნილი არიან რაიმე ცუდ საქციელისათვის. ეველა მათ ერიდება, მათხოვრებსაც კი ესიძლებათ. ესენი ცხოვრობენ განცალკევებით, არავის არ უნდა მათთან საქმის დაჭერა.


— საცოდავები, შეჭვირეს ერთმანთ ჯუჯებმა.—არ შეიძლება ამ დედაკაცს როგორმე უშველოთ? მოუხსნით რაზე ტირის!

ქალის ნაამბობიდან კაცუნებმა გაიგეს, რომ მას ჰქონდა ზატარა საფუტრე, წინა დამეს ვიღაცეებმა განცარცვეს და ფუტრებიც გაუფანტეს.


— ამხანაგებო! მე ვიცი როგორ უშველო ამ ქალს—შეჭვირა მურხილკამ—ტეესე რომ გამოვიარეთ შე გარკვევით გავიგონე ფუტრების ბზუილი, ისინი უთუოთ ხის ფულუროში დაიძაღენ, წავიდეთ და ფუტრები შეუგროვოთ ამ საცოდავს. ჯუჯებს ძელიან მოეწონათ მურხილკას ახრი, მაშინვე გაემკსავრენ ტეისკენ, მურხილკას ნახვენებ ადგილას იდგა მთელი რიგი ახოვანი ხეები, საიდანაც თითქო დედამიწის გულადან, ისმოდა ბზუილი, მაგრამ როგორ გამოეყვანათ ფულუროდან? ჯერ ჯუჯებმა დაუწვეს ჯონებით კაკუნი, მაგრამ ფუტრები არ იძროდენ, მაშინ ესენი შეიარაღებულნი: ბურღით, ხერხით, ცულებით და ჩაქეხებით შეუღვეს შეუღვერების გამოარეკას, თან ვადასწვიტეს, რომ ივინი მოათავსონ წინათვე ძამ-

ხადებულ სკაში, ბუძობა ზირველში არ ეძღვრებოდა
 დათ, ერთს მოხვდა ნაფოტი თვალში, შემოვიდა
 გასტყეს შუასე თავისი ცული და მოიჭრა თითი,
 ცქრილად კინაღად მოიტყეს ფესი, ბედსე მოასწრეს
 და შეუსვიეს, სისხლი ძაღუ შესწვდა, ამ დროს მურ-
 სილკა ამახათ დასეირნობდა წინ და უკან, თან უკვი-
 როდა ამხანაგებს, რომ ბუძობა ძაღუ გაეთავებინათ.
 დიდი ხნის წვალების შემდეგ ჯუჯებისგან გამოჭ-
 რილ ნახვრეტიდან გამოვარდენ ფუტკრები. ვაძა!
 ვაძა! — იევირა ცხვირ-დიდა ექიმმა — მოიტათ ჩქარა
 სკა. ჯუჯებმა მიუდგეს ერთ ნახვრეტს სკა, სხვები
 კი გამოლესეს და დაუწვეს რაც ძალა და ღონა
 ჰქონდათ კაკუნი სეს, შემინებული მწერები გაექ-
 ნენ გამოსავალისკენ და ვველანი გაებენ ძახვში.
 ჯუჯებმა დიდის დღესასწაულით წაიღეს სკა შესვე-
 ული სეწარში და დადგეს საცოდავ დედაგაცის ქო-
 ხში; ქონის წინ იდგა ფულუროიანი „ბანანი“, სწო-
 რეთ ამ სესე უნდა ჩამოგვიდათ კაცუნებებს სკა. ერთ
 ალაგას, ძაღალ ღობესე გადასვლის დროს, ნახკვი
 როგორდაც გაიხსნა და ფუტკრები ბზუილით გამო-
 ფრინდენ, მისცვინდენ ჯუჯებს, ვველასე მეტად მო-
 ზვდათ მურსილკას და ჰანა-წვერისას. მურსილკას სულ
 დაუებინეს მთელი ტანი და სახე. დიდის წვალებით
 ჯუჯებმა სესე სელ ახლათ გამართეს სკა. ფუტკრე-
 ბმა ძველ ბინათ მიიღეს ეს სკა და ბუეათად შეუ-
 დგენ ბუძობას. ძნელი წარმოსადგენი იყო ღარიბი
 ქალის სისარული, როცა მან სახლში დაბრუნებისას
 ხანა სკა ძველ ადგილსე. სისარულისგან კიდევაც
 იტირა, ჯუჯები იქვე იდგენ და იცინოდენ, მარტო
 ერთი მურსილკა დასცქეროდა ფუტკრებისგან დაკბუ-
 ნილ ხელებს.

ჯუჯების გამგზავრება შერცხლებიან საშუალებით.


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა


თუძცა ჯუჯები სასახლეში ძალიან კარგათ სცხობდნენ, ძაგრამ ძაინც კადანსწევიტეს სხვა ქვეყანაში წასვლა. ერთხელ დილით ჩინელი ჩიოკა-ჩი ქაქანით მოიჭრა, ეველანი შეკრიფა და შეატეობინა შემდეგი: „კუძინ მე შეუძვერი შერცხლის ბუდეში და გავიკონსე როგორ ეუბნებოდა ერთი შერცხალი თავის შესობელს, რომ სვალ ისინი ძთელი ჯგუფათ გადაფრინდებიან ზღვასე, შორ ქვეყანაში წასასვლელობათ, სადაც ესლა გაზაფხულია. სო-და მეც ვივიქრე, დაუმატა ჩი-კა-ჩიმ, შევასხდეო სურგსედ ჩვენ ჰაეროვან მკსავრებს და გადაფრინდეთ უსრუნველათ დედამიწის მეორე მხარეს. „ეოხად!“ შეჰვეირეს ჯუჯუბმა, რა იქნება ამ მოგზაურობასე ადვილი, გაუმაჯოს ჩი-კა-ჩის! ჩუძილკა გულთმისანი გაკსავნეს დასასვლელათ, მან რამდენიმე წუთის შემდეგ მოახსენა, რომ შერცხლები დაიპვრიან განთიადისას, ჯუ-



ჯები გამოვიდნენ ზატარა გორაკზე, სადაც უნდა მოგროვილიყვენ მერცხლები და დაიწვეს მათი იზაქრახა თუ არა აღმოსავლეთისკენ, იწვეს ღენა ეოველ მხრიდან მერცხლებმა. ფრინველები ხან ხეებზედ მძლვს ადიაოდენ და დასხდებოდენ, ხან ეძკებოდენ დედაძინაზე, ბოლოს მსწრაფლ გაეძართენ ღრუბლებისკენ და მწეობრათ გაედევნენ წინამძღოლს. ისინი არც კი ატეობდენ, რომ მათ ზურგზე სხედან დაუხატეებელი სტუმრები — ჯუჯები. ესენი იმ სიძაღლიდან სედავდენ მთელ არე-მარეს, საიდანაც ტეეები და ქალაქები ეჩვენებოდათ წერტილებათ, მდინარეები და ტბები ბრწეინავ სოლებათ. ჩვენი ნაცნობები ჩინებულათ გრძნობდენ თავს ფრინველების რბილ ზურგზე, ისე რომ როცა დამით დაეძკებოდენ დასასვენებლათ, არც მაშინ სტოვებდენ თავის ბინას.

ჯუჯები ცირკში წარმოდგენას მართავენ.

მრავალ უდაბნოებზე, ტეეებზე და კელებზე გადაფრინდენ კაცუნები, მრავალჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე მათ მოგზაურობის დროს. ერთსეულ მერცხლებმა ამოიჩიეს დამის კასათევათ ერთი ჭალა დაბასთან ახლოს, ჯუჯებმა გადასწევიტეს დაბის დათვალიერება და ზირობა დასდეს დილით ადრე დაბრუნებულებს მერცხლებთან. ზირველი გაიქცა სუმილკა — გულთმისანი და ძაღვ დაბრუნდა ახალი ამბით: — მოძევეით! მოძევეით! — ევიროდა, — მე შესანიძნავი რამ აღმოვაჩინე, — კაცუნები გაედევნენ მას და მივიდენ ტილოს კარავთან, რომელიც გაძლილი იყო დიდ მოედანზედ. დაიწვეს ცქერა ეველა ჭუჭრუტანებში, უფრო მამაც-



ნი ამერენ ცირკის კარავის ჭერსე. მურზილკას
 მოიბინა თავის ვიწრო წაღებში, ვიწრო წვერებით
 ის ძლივს მისდევდა თავის მოძმებს, ბოლოს დაქა-
 ნცულმა იკითხა: რა ამბავია მანდ ძმებო!—ცირკი,
 ნამდვილი ცირკი, უნასუსა დიდცხვირა ექიმმა—ცირ-
 კი. ნუ თუ ცირკი? შეჰვევირა მურზილკამ, გამიშვით
 ჩქარა, მე ძალიან მიეგვარს ცირკი, ევიროდა ის. თუ-
 მცა ჭუჭრუტანებიდან ეველაფერი არ ჩანდა, მაგრამ
 კაცუნები მანც არ შორდებოდენ კარავს და დაკვი-
 რებით უცქერდენ ვარჯიშობას ცირკში, დრო გამო-
 შვებით ტაშსაც უგრავდენ.

— ბატონებო! სთქვა ერთ—ერთმა, ჩვენ დიდი
 ხანია აღარ გვიმხიარულნია, მოდი გავძროთოთ წარ-



მოდგენა.—მშვენიერი აზრია, მშვენიერი, — გაისმა
 უოველ მხრიდან. ჯუჯები ჩამწვირდენ იქვე ახლო
 და ელოდენ ცირკის ზატრონის წასვლას. წავიდა
 თუ არა ზატრონი, ნახვრეტებიდან და ჭუჭრუტანები-



დან შეძგრენ კაცუნებო კარავუძი და დაიწყო
 რულებს და აღიასქოთი, რომლის წარმოდგენას კი
 ძნელია. დიდცხვირს ექიმი ზირველი შეხსტა ცხენს,
 მას მიჰყვა მასხარს „სტუნია“ — გამძვრს ქაღალდის
 რგოლში, რომელიც ეჭირათ ტუხ-გრძელს კურდ-
 დელს და ზაზა-წვეკრის და შეხსტა ცხენს, ექიმთან
 ერთათ გაიხვირნა. ისინი ამხანაგებმა დააჯილდოვეს
 დიდის ტაშის დაკვრით. ათი ჯამბახი დადიოდა
 გაჭიმულ თოკსე, მხეურებლების თავსე სძირათ ცვი-
 ოდა ჯოხები, რომლებიც ჯამბახებს ეჭირათ ხელში.
 ეს შემთხვევა სრულებითაც არ უძლიდა ჯუჯებს ტაშის
 კვრას, თუძცა წარმოდგენა კი არაფრათ ვარგოდა.
 ბურთიდან ჯამბახები თავიანთ მეთაურ ცქრიალათი
 ჩამოცვივდენ და ბურთმა ზედ გადაუარა, მაგრამ ისი-
 ნი მანც უვნებლათ გადაარჩენ. წრიზინა თავუნს
 წარმოდგენის დროს როგორც გამკე იჯდა ამაღლე-
 ბულ ადგილსე, ევიროდა და განკარგულებებს ასდგ-
 ნდა, მას ეურს არავინ არ უგდებდა და დი-
 ლით როგორც მხეურებლებმა ისეც მსახიობებმა
 დასტოვეს ცირკი. ეველას ტაშის კვრისგან სტკიო-
 დათ ხელები. მურზილკა სულ დახრინწიანდა ევი-
 რილისგან. ეველა კმაყოფილი იყო და მოუთმენ-
 ლათ ელოდა ახალ თავმქსაცვეს. სწავლ ცირკის
 ზატროანს ვერ გაეგო, თუ რა მოხდა იმ დამეს კარა-
 ვში, ეველაფერი არუელ-დარუელათ დაუსვდა, ცხე-
 ნები აქაიქ ევარენ ქაფში. მანამ ზატრონი აღაგე-
 ბდა, კაცუნებო მივიდენ მერცხლებთან და ვანთი-
 დისას გაუდვენ გზას

ნორა დიხსამიძე.

(უმღლეგი იქნება).



შამილა.

ამილას გული ფანჯალებს
მწყრის ქორთა ჩოჩორივითა,*
წარბები წამოლუშვია
ტოროლას ქოჩორივითა.

დიდი ხანია გაზაფხულს
ელოდა, ენატრებოდა,
დღისით რომ გარედ დარბოდა
ღამე ძილშია ხტებოდა.

გაიღვიძებდა თუ არა
დედას ყელს მოექნებოდა;
დელილო, შენი ქირიმე,
სულ ასე ევედრებოდა:

— ე გაზაფხული ხომ დადგა,

რატო არ მოდის მამილო?

— რა ვიცი, აბა რა ვითხრა

ჩემო პატარა შამილო?

— როდესაც ხალათს გამხდიდი,
დამაწვენ-დამაძინებდი,

*) მწყრის პატარა ბარტყს ჩოჩორს ეძახიან.



მამა მოგივა ხვალეო,
 ასე არ ჩამჩინებდი?!

— ჰო, შვილო, დედა მოგიკვდეს,
 კიდევ არ არის გვიანა,
 იქნებ გამოჩნდეს საითმე
 დილაზე აღრე მზიანა...

დღე მუდამ დედა გულმკვდარი
 სულ ასე აშოშმინებდა;
 მაშინ მორთავდა ტირილსა
 როდესაც დააძინებდა.

გათენებ-დაღამებისას
 იყო ვაება-ძრწოლაში:
 ქმარს მტერთან თავი დაედო
 სამშობლოსათვის ბრძოლაში.

შვილს არ უმხელდა არაფერს,
 დღე და დღე რკინავდებოდა,
 ჩუმი დარდი და წუხილი
 მის გულში ბინავდებოდა.

და შვილს კი ზრდიდა თამამად
 ნადველ შერეულ მღერითა;
 შამილაც იფურჩქნებოდა
 მამის მზისაკენ ცქერითა.

შიო მღვიმელი.





ვარყას გაუმარჯოს!

(დასასრული)



ამრიგად და ლისიკომ ორივემ
სვეწნა დაუწყო, რომ გაეძევა ბარ-
ტვი და დედა-ჩიტი გაესარებინა.

— მე რე რა ნაირად დაგლოცავს
მაგისი დედა, შენ დღეში აღარა გაგი-
ჭირდება რა, არწმუნებდენ ორივენი.

— დამლოცავენ კი არა, ეგენი მე
ეურძენს შემიჭამენ.

— აჰ, შენ ეურძენში სულაც აღარ გაივლიან
თუ გაუძეობ; თორემ და ჯინასე სხვა შაშვებსაც
მოიყვანს დედა მაგისი და სულ მთლად გადაჭამენ
შენ ვენასს. სან მაქარს შეპირდენ, ხან კანფეტს და,
როგორც იქმნა, დიდის სვეწნით გააძეებინეს. უნდა
გენასათ როგორი გასარებული გაუძევა დედა თავის
ბარტეს. ამის შემსედვარე ბავშვებმა სამივემ ცრემ-
ლები გადმოყარეს, ერთმა მწუსარებით და ორმა
სინარულით.

თამრიკომა და ლისიკომ მიეტოვეს ბიჭი და
გასარებულნი მიდიოდენ ტყე-ტყე. ჰირველმა უცრად
წამოიძახა:



— ვარყან გაუძარჯოს! აიღო ერთი ვარყა; ვარყა
 ვან გაუძარჯოს! გაიმეორა მხვე და აიღო მეორე.

— უჰ, რამდენი თეთრი სოკოებია! დაიუვირა ლი-
 სიკომ, როდესაც დაინახა ძალსე მოფენილი ვარყები.

— თამრიკო, ეს კარგი სოკოებია, მეც ავბოჭო!

— აბოჭე, კარგი სოკოები, მხოლოდ კარგები
 ააჩნიე, მანც ბევრია, სომ სედავ? ღმერთმა უველანს
 გაგიძარჯოთ! დაატანა კიდევ თამრიკომ.

— რათ უძახი, თამრიკო, გაგიძარჯოსო?

— რათა და თურმე ერთი ახნაური წავიდა
 ტყეში სოკოსე. ბევრი იარა, ვერა იზოფნა რა, ბო-
 ლოს წააწედა აუარებელ ვარყანს. ვარყამ ასე იცის
 ერთ ადგილას ბევრმა ამოსვლა. ახნაურმა ჯერ ერთი
 ვარყა დაინახა, გაესარდა და მიამახა: ვარყანს გაუძარ-
 ჯოსო, მერე მეორე დაინახა და იმასაც ასე მიესალ-
 მა; მესედა, გადაფენილია ურიცხვი ვარყა და მიამა-
 ხა—მე თქვენ ვეღარ გაგივალო, ღმერთმა უველანს
 გაგიძარჯოთო.

— რა ჰქვიათ, თამრიკო, ამ სოკოს?

— ახლა არა ვსთქვი, ვარყა ჰქვიათ, კარგი სო-
 კობა, მოტესე ღერო, როგორი თეთრი რძე გამოუ-
 ვიდეს? მერე დააწე ენა, რა რძესავით ტკბილია.

ლისიკომ ჯერ აკრიფა ვარყები, ჩააღება თა-
 ვის კალათში, მერე ერთს მოტესა ღერო, სიდანაც
 წამოსკდა ბლომით თეთრი რძე, დააწო ენა და უც-
 ბათ დაიუვირა:

— უჰ, რა მწარეა! არიქა, თამრიკო, მიშველე!
 მოვიწამლე!—და მოართო ტირილი. თამრიკო შეწუს-
 და, ესვეოდა, კოცნიდა, ამშვიდებდა, არწმუნებდა, რომ
 მავნებელი არ არის, თუძცა მწარე კია, მე გიხუმ-



რეო, ეუბნებოდნა, გამოაფურთხე, არ გადაელანს მხალე გადივლისო, კარვა სანი დასჭირდა თამრიკოს ლიზიკოს დამშვიდებისათვის.

— ადექი ახლა, დაიკო, სანიევესე წავიდეთ, ეგებ ნიუვიც ვნახოთ.

ადგენ და წავიდენ, სანიევეს რომ დაუახლოვდენ, თამრიკომ ლიზიკო წინ გაუშვა. ეგებ ნიუვიც დახვდეს და გაიხაროსო.

ტეის გვერდზე ერთი გაფხეკილი ადგილი იყო; გავიდა თუ არა ლიზიკო ტეიდან, მის იტბალზე ამ ადგილას ორი კოკობი ნიუვიც წითლათ გამობრდი-
ალებდა. ლიზიკოს სინხარულით ენის სიმწარე და-
ვიწედა, მივარდა, აიღო ნიუვეები და ჩააღება თავის
კაბათში.

— თამრიკო, როგორ ადგილზე ცოდნია ნიუვის ამოსვლა, აქ სმელი მიწის მეტი არაფერი არა სჩანს, — არც ბაღასი და არც ჩირგვი.

— აგრე იცის ნიუვა, მისთანა ადგილზე მო-
დის, სადაც არაფერი მცენარე არ ამოვა. ახლა, ჩემო ლიზიკო, ლელის პირზე ჩავიდეთ, სანიევე იქი-
თაც მეგულებს, ლელეზე პირი წელით გამოირეცხე
და სიმწარე სრულიად გაკვილის.

ჩაიარეს თუ არა ცოტა, მეორე სანიევესე ერთი ნიუვი კიდევ ნახეს, ეს ნიუვი ისე წითელი არ იყო, როგორც სხვები, განხუნებულს ჰგავდა.

— თამრიკო, რათ არის ეს ნიუვი უფრო სხვა ფერის? დაეკითხა ლიზიკო.

— მიტომ, რომ ეკ სხვა ჯიშისა არის, მაგას ჰქვია ვაც-ნიუვა.

— რატომ სოკო-შავას ვე შევხდით დღეს?



მე ვიცნობ იმას, დედამ ერთხელ ბაზარში იქნებოდა
 კაპაკოთა და გვაჭამა; გემრიელი იყო.

— სოკო-ძაგა ახლა გავიგონია! ის ადრე, გა-
 საყსულზე მოდი, როცა თოვლი ალაგ-ალაგ კიდევ
 არის. ჩვენში ის არასოდეს არ მოდის, ის უფრო
 ქუთაისისკენ იცის.—

ჩავიდენ დელესთან; ლიზიკომ პირი გამოიჩვენ-
 ხა. ამ დროს დელეს გაღმა შეაძინეს სოკოები. თუ-
 ცა კალათები საგსე ქცნდათ, მაგრამ მანც უნდო-
 დათ—ადარც ის სოკოები დაეტოვებიათ. დელე ზა-
 ტარს იყო, თამრიკომ ისკუნა და გადასტა, ლიზიკომ
 ვერ გაბედა გადასტომა, იქვე ერთი რგვალი ხე იყო
 დელეზე გადებული, თამრიკომ უკანვე გამოიჩინა
 იმ ხესე და ლიზიკოს უთხრა:

— აი, ამ ხესე მანც გამოდი ნელ-ნელა, მე
 ხელს მოგკიდებ, კალათი მე მომეცი.

ლიზიკომ კალათი გადასცა, შედგა ხესე, გაუს-
 სლტდა წუდიანი ფესი და ტყაზანი გააურვეინა წვალ-
 ში, წვალი იმსკლა იყო, რომ წულებში ხევიდან საუ-
 ვიდა და დაუსველა ფესები.

— ვაიმე, მიშველეთ, დედა ჩემო, მოგკედები,
 თამრიკო მიშველეთ!

თამრიკომ ხელი მოხვია გამოიყვანა დელედან.

— სომ არ გადირიე, რა მოგკლავს, აი, მეც
 სომ ჩავდექი წვალში და დავისველე ფესები, უფურე,
 აბა თუ მოგკედე.

თამრიკომ საჩქაროთ წულები და ჩულქები გა-
 ხადა. მოჰკიდა ხელი და წაიყვანა ტყიდან მინდვრი-
 საკენ, მერე ორივე კალათი თვითონ დაიკავა, წუ-
 ლები და ჩულქები ლიზიკოს მისცა და უთხრა:



— გავიქცეთ ახლა და სასლამდი სულ ვირბინოთ.

— არ შემიძლია, არა, ფეხებზე მცვივა,

ერქვესული
ზიზლირძისა

— შე კი გავიქცევი და შენ აბა აქ დარჩი,
— და მოქუსლს თამრიკომ. — ლიზიკოს მარტო დარჩენის შეეძინდა და ისიც უკან გამოუდგა. თამრიკომ სირბილს უკლო, უკან-უკან იცქირებოდა, მომდევნს, თუ არაო. როცა ლიზიკო უახლოვდებოდა, თამრიკო სირბილს უმატებდა. ლიზიკომ სვეწნა ატანა:

— თამრიკო, ფეხები შეტკინა, მომიცხადე:

როდესაც შეატყო თამრიკომ, რომ ლიზიკო სირბილით კარგად შესურდა, შეჩერდა. ლიზიკოც მოვიდა ქოქინით; ტირილით კი აღარ ტიროდა.

— ლიზიკო, ფეხები სომ გაგისურდა, სომ აღარ ცცვივა?

— მცვივა კი არა, ცეცხლივით შემექმნა ფეხები, მგონია ანთება მომივიდა.

— ანთებას რა უნდა; ახლა მორჩენილი ხარ, რაკი ფეხები გაგისურდა; აწი აღაწაფერი გიჭირს; შენგან სააქიმოც მერგება. ახლა ნელა ვიაროთ; სომ მოგარჩინე?

მივიდნენ თუ არა სასლამი, ლიზიკოს თამრიკომ ფეხები ცივი წყლით დააბანინა, ტილოთა შეამშრალეზინა ცეცხლთან და მშრალი ჩულქები ჩააცვა. სადილზე ლიზიკო მადიანათ შეექცეოდა სოკოებს, მხოლოდ ვარყას თვალსაც კი არიდებდა. თამრიკო კი აიღებდა დამხარულ ვარყას, ჩაიდებდა ჰირში და დააყოლებდა „ვარყას გაუმარჯოსო“ და ლიზიკოს სადილის გათავებამდის სულ აჯავრებდა.

— ჩვენ ანთებიან ავათმოფს, დალოცოს ღმერთმა, კაი მადა აქვსო.



ცხვირსახოცის

სამშობლო

ილი თეთრ თმიანი, მშვენიერი, წითელ ლოყებიანი, ლურჯ-თვალემა გოგონაა, პაწაწუნა ალისფერ ტუჩებით, საიდანაც მარგალიტებით გამოიყურებიან ჩამ-

წკრივებული თეთრი კბილები.

ლილის ორი თოჯანა ჰყავს-მარუსა და რაია, აქვს კამოდი თოჯანების ნივთებით, პატარა მაგიდა, ორი სკამი და ჭურჭლით სავსე შკაფი. ლილი ისე უვლის და ზრუნავს თავის თოჯანა შვილებზე, როგორც ნამდვილი დედა.

ერთხელ ეს პატარა გოგონა თავის დეიდას ესტუმრა სოფელში. დეიდას აუარებელი იხვეები, ქათმები, ძროხები, თხები და ცხენები ჰყავდა, მაგრამ ლილის ყველაზე ძალიან ორი პატარა ბეკეკა მოსწონდა, რომელნიც მუდამ სახლის წინ მინდორზე ბალახობდნ. ლილი თავის ხელით აქმევდა მარილ-დაყრილ პურს, ბალახს, ერთხელ შექარიც კი გამოუბრუნა, მაგრამ ბეკეკებმა არა სკამეს.

ლილიმ მთელი ზაფხული სოფელში გაატარა. ბატონები მის იქ ყოფნის დროს გაიზარდნ, მოკლე ბეწვი დაუგრძელდათ და დაუხუჭუქდათ, ჩლიქები გაუმაგრდათ და შუბლზე ორ-ორი რქა გამოუვიდათ. ერთ შემოდგომის დღეს, ლილი ჩვეულებისა-

მებრ მინდორზე გავიდა, თავის საყვარელ მეგობრებთან ერთად უნდა საქმელი მიეცა, დაინახა რომ მოკვდიან. მაგირემ ისინი სარდაფში შერეკა, ერთი მათგანი მაგინდაზე წამოაქცია და უშველებელის მაგრატლით კრეკა დაუწყო თოვლივით თეთრს ხუჭუქს მატყლს, რომელიც ასე შეწინადათ ბეკეკებს. „რაზე ამახინჯებს ნეტავი“. — ფიქრობდა ლილი. „რისთვის ესაჭიროებათ ადამიანებს მათი მატყლი?!“ შეწინარჩუნებინათ, უკეთესი არ იქნებოდა! მერე ისიც ზამთრის პირას, როცა უფრო საჭიროა მათთვის სათბურები!

როდესაც ლილი ქალაქში ბრუნდებოდა, დეიდას შეეხვეწა გაფრთხილებოდა ბეკეკებსა და ნება აღარავისთვის მიეცა, რომ ისინი კიდევ გაეკრიქათ. გოგონამ ის კი არ იცოდა, რომ მანამ ყინვები დადგებოდა ბატკნებს სხვა უფრო თბილი ბალანი ამოუვიდოდათ, ვიდრე ზაფხულში ჰქონდათ.

— რის გამოსადგება მატყლი? რა უნდა გააკეთონ მატყლისაო, ეკითხებოდა ლილი თავის თავს.

მატყლს კი აი რა გადახდა: როდესაც გადაკრიქეს, თბილ წყალში საბნით გარეცხეს, გააშრეს, გაწეწეს, მერე თვითნაყოფი ჩინჩილი სავარცხლით დავარცხნეს და გრძელი, წმინდა ძაფი დაართეს. შემდეგ ეს ძაფი ქარხანაში გაგზავნეს. იქ კი საფეიქრო დაზგაზე მოქსოვეს ნაზი, მშვენიერი წმინდა შალი, რომელიც ცისფრათ შეღებეს, მალაზიაში მიიტანეს და გაჰყიდეს. დანარჩენი ძაფისა კიდევ ერთი წყვილი ლამაზი ჩულქები მოქსოვეს და ისიც მალაზიის ფანჯარაში გასასყიდათ გამოჰყიდეს.

ქრისტეშობის თვე დადგა და ლილის დაბადების დღეც მოახლოვდა. დედამ ამ დღისთვის ცისფერი საკაბე უყიდა, სწორედ ის, რომელიც ბატკნების მატყლისაგან იყო გაკეთებული, ერთი წყვილი თეთრი ჩულქი და მშვენიერი ცხვირსახოცი.

როდესაც ლილიმ დაიძინა, დედამ პატარა მაგი-

დას თეთრი სუფრა გადააფარა, ზედ დაულაგა არწი-
ვებით და ლენტეხით მორთული კაბა, ჩულქები, ცხვირ-
სახოცი და სულ ახლოს მიუწია საწოლთან, რომ გო-
გონას თვალების გახელვისთანავე თავის საჩუქრები
დაენახა.

ლილის საწოლის გვერდზე მისი პატარა ძმის
ჟორჯეს საწოლი იდგა. ჟორჯე ძალიან ცელქი ბავ-
ში იყო და ამასთან წესიერებაც არ უყვარდა, არა-
ვის არ უგონებდა, თავის ნივთებს არ ალაგებდა, ყო-
ველთვის აქა-იქ ჰქონდა გაფანტული. ეხლაც ასე
იყო. როდესაც სეირნობიდან დაბრუნდა, თავისი ახა-
ლი ცხვირის ტყავის ქურქი საბავშო ოთახში ტახტ-
ზე მოისროლა, გამზრდელსაც დავიწყნოდა შენახვა
და აქ დარჩენილიყო.

ბავშვების ოთახში სიჩუმეა, კანდელი ოდნავ აშუ-
ქებს მძინარე ბავშვების სახეებს და იქ მდგომ საგნებს.

— მე—მე—მე, გამარჯობათ, ჩემო მეგობრებო! —
გაისმა ხმა იქიდან, სადაც ჟორჯეს ტყავი იდო.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! მიუგო ლენტეხის
შრიალით კაბამა, — ერთი მითხარით თუ ღმერთი გწამთ,
ჩვენ საიდან გვიცნობთ! მე როგორღაც არ მაგონდებით.

— რა გასაკვირველია, ქალბატონო! ამ სულე-
ლურ ქურქში ძნელი საცნობი ვარ, თუმცა მე უფრო
ადვილი საცნობი ვარ, ვიდრე თქვენ.

— მაშ ვინა ბრძანდებით? — ჰკითხეს ჩულქებმა.

— განა ბეკეკა ბიჟოს ვერა ცნობთ, რომელიც
სოფლის მინდორზე ბალახობდა.

— ახ, დავიჯერო შენა ხარ, შავი ხუჭუჭა ბიჟო,
მთელი ნახირის საყვარელი? მერე — ისეთი მზიარული,
ხტუნია, რანაირად გადიქეცი ამ უცნაურ მოსართა-
ვათ? — ერთხმად შესძახეს ლილის საჩუქრებმა.

— ეჰ, ეს გრძელი ამბავია... მე მართალი მოგახ-
სენოთ ბიჟო კი არა, მისი ტყავი ვარ, როგორც თქვენ
ეხლა ბატონების მაგივრად მატყდი ხართ.

— ერთხელ ბიჟომ, განაგრძო, რაღაცა იტყინა, ავად გახდა, იკვნესა, იკვნესა და მოკვდა. მას ტყავი მე, გააძრეს, გააძრეს, ისევ დაასველეს, გარეცხეს, ხელმეორეთ გააძრეს, გასჭიმეს, ყოველნაირათ დაიმუშავეს და ბოლოს ტანსაცმელათ გამომიყენეს: ბავშვის ქურჭი შეჰკერეს და მალაზიაში გამომკიდეს გასასყიდათ. მერე ჟორჟეს დედამ იყიდა თავის შვილისთვის.

— მართალი გითხრა, მე ჩემი პატრონის კმაყოფილი არა ვარ. სულ აქეთ იქით მისვრის და ამის გამო საშინლად ვცვდები.

— აი სად შეგხვდით ერთმანეთს!—სთქვეს ლილის ფეხსაცმელებმა, რომელნიც საწოლის ქვეშ ეწყვნენ.—ვის ეგონა რო ასე გამოვიცვლებოდით! რამდენ ნაირად არ გვაწვალეს, მანამ ის არ შევიქნებოდით, რაც ეხლა ვართ. მე მგონი, ვასკა-თხას ველარავინ იცნობს, რომელსაც ყველანი დასცინოდით!

— შენა ხარ ვასკა?—ის ვასკა, რომელიც თავლაში სცოვრობდა?

— მაშ ვინ უნდა ვიყო? ვასკა—ცხენმა მოჰკლა, მას ტყავი გააძრეს და წაღები შეჰკერეს.

— თქვენ მართალს ამბობთ რო ცოცხალ ცხვრებზე იზრდებით?—სთქვა მოჩლექილის ენით ცხვირსახოცმა,—მგონია ხუმრობთ.

— სრულებითაც არა, ჩემო კარგო! მაშ რაზე, ხეზე ხომ არ ამოვალთ?

— რატომ არა? აი, მაგალითად მე, ბამბის ბუჩქზე აღმოვცენდი.

— სადა ხდება ამისთანა სასწაულები! კითხა კაბამ.

— მე ამერიკაში გავიზარდე. ჩვენ იმდენი ვიყავით მინდორზე, ან, როგორც იქ უძახიან, პლანტაციზზე, რო მთელი მინდორი თითქოს თოვლით არისო დაფარული.

მზე იქ საშინლათ აცხუნებს, ზამთარი სრულებით.



არ იცის და ჩვენ თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში თეთრათა ვართ გადაბენტილი. ჩვენს ნიანი ადამიანები გვკრეფავენ კალათებში, გვრეცხავენ, გვწეწვენ, გვვარცხნიან, გვართავენ, გვქსოვენ, რის შემდეგაც მთელ ქვეყანაში დავსეირნობთ ცხვირსახოცებათ, მიტკლებათ და ჩითებათ.

— შენ რა სთქვი შავ-კანიან ადამიანებზე? სისულელეებს ნუ ბოდავ ერთი! მაგისტანები არ არიან, — სთქვა ბოხის ხმით შუშის სურამ.

— როგორ არა, ჩემს ბავშობაში სხვა სახე არ მინახავს, გარდა შავი ზანგისა! მეტად გაჭივრებული ცხოვრება აქვსთ ზანგებს, მეტად, — დაიკენესა ცხვირსახოცმა.

პლანტაციებზე სამასამდინ კაცი და დედაკაცი მუშაობდა. ყველა ისინი პლანტაციის მკაცრი პატრონის, მისტერ ჯონსონის ხელში იყვნენ. თვითონ მშვენიერ სახლში სცხოვრობდა პალმებისა და ფორთოხლების ხეებ შუა, კარგათა სჭამდა და სვამდა, ზანგები კი ძველ ქოხებში სცხოვრობდნენ ტიტვლები და შიშვლები, — თქვა ცხვირსახოცმა და განაგრძო:

დილიდან საღამომდინ წელში მოხრილი, მუშაობდნენ სამხრეთის მხეში და პლანტატორის უდიერ ცემა-ტყევაში. აუტანელი შრომისა და ცემის გამო ბევრი მათგანი იხოცებოდა, მაგრამ მათი პატრონი არაფრათ არ აგდებდა: დახოცილების მაგიერ სხვა ზანგებს ყიდულობდა.

ჩვენ პლანტაციაზე, სოფლის ბოლოში, სადაც მე ვიზრდებოდი, ერთ დანგრეულ ქოხში მთელი ოჯახი სცხოვრობდა: კვიმბო, მისი ცოლი მებდი და მათი ექვსი წლის ქალი, დინა. ეს უკანასკნელი თუმცა შავი იყო კუბრივით, მაგრამ მშვენიერი თვალები ჰქონდა, წითელი ტუჩები და თეთრი კბილები, დინა უდარდელ ჩიტივით სულ ერთავათ მღეროდა და მთელი სოფლის საყვარელი იყო. პლანტატორსაც კი იმ მო-



ღუშულ სახეზე ღიმილი მოუვიდოდა ხოლმე, როდესაც პაწაწა დინას კეთილ თვალეში შეხედავდა.

დინამ იცოდა სიმღერა, ცეკვა და საშინელი კეთილი, ლამაზი და ამასთან მხიარული ბავში იყო. მშობლებს უსაზღვროდ უყვარდათ თავისი პატარა დინა.

ერთხელ პლანტატორს სტუმრები ეწვივნენ. დინა ჩვეულებისამებრ დაიბარეს ბატონთან, რომ თავისი ცეკვითა და სიმღერით მისი სტუმრები გაემხიარულებინა. საყვარელი ბავში მოეწონა ერთ სტუმარ ქალს და გადასწყვიტა მისი ყიდვა, რამდონიც არ უნდა დასჯდომოდა. დიდი ფული შეაძლია მისტერ ჯონსონს, მაგრამ, ის დიდ უარზე დადგა. ამ უარმა სტუმარი ძალიან გააჯავრა და აღარა დაზოგა რა. ფასს ძალიან აუწია, მაშინ ხარბმა კაცმა ველარ შეიკავა თავი და გაჰყიდა ბავში. ასე მოჰგლიჯა ბავში მშობლების გულს და გააშორა.

დინას მშობლებთან გამოსალმემის ნებაც კი არ მისცეს. იმ ღამესვე ახალმა ქალბატონმა წაიყვანა თავის მამულში. ვერ აგიწერთ იმ საშინელ სასოწარკვეთილებას, რომელსაც მიეცენ კვიმბო და მენდი, როდესაც შეიტყეს პლანტატორის არა ადამიანური ქცევა. კვიმბო ერთი დღის განმავლობაში დაბერდა, მოიკუზა და გადარეულივით დადიოდა. მენდი პირ-იქით, თითქოს უფრო გამხნევდა. მწუხარებამ ღონე გაუორკეცა და იმ დღეს იმუშავა კიდევ პლანტაციასზე; მაგრამ ზანგები კარგად ატყობდნენ მის თვალების ველურ გამომეტყველების და ხელების კანკალზე, როგორც მას რაღაცა საშინელი განუზრახავს.

იმ დღეს შოლტის ეპაჰუები უხვად გადადიოდა, რადგან დიდით პატარამდე გარინდებული დადიოდნენ. წინათაც გაუყიდნია მონები პლანტატორს, მაგრამ, მისი სიმკაცრე თავის დღეში ამ ზომამდინ არ მისულა. მშობლებს არ გააგებინოს, ნება არ მისცეს გამოეთხოვონ თავის ერთად ერთ შვილს,



ეს მონებსაც კი, რომელნიც შეჩვეულნი იყვნენ ყველ ვვარ უბედურებას, ისეთ საშინელებათ მიანდნენ, რომ შოლტს აღარ ერიდებოდნენ, მიდიოდნენ დაობლებულ მშობლებთან და ანუგეშებდნენ, როგორც შექლოთ.

დალამდა თუ არა, მენდი მივიდა თავის ქმართან, მაგრა აკოცა შავ-ხუჭუქ თმიან თავზე და უთხრა: „— კვიმო, მე ჩვენი შვილის საძებნელათ მივდივარ“.

მიიპარებოდა მენდი სოფლის ქუჩებში, ოღნავი შრიალისა და თავისი საკუთარი გულის ცემისაც კი ეშინოდა. აი, გაიარა უკანასკნელი ქოხი, ლანდივით გადირბინა მინდორი და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაექანა ტყისაკენ, რომელიც შავათ გამოიყურებოდა შორიდან.

მისი შიშველი ფეხები ოღნავ ეკარებოდნენ დედა-მიწას. ვერ წარმოიდგენდით რომ შეხედულობით ასეთ სუსტს და გამხდარ დედაკაცს ასეთი სირბილი შეეძლოს, მაგრამ, აღბად მწუხარება, როგორც სიხარული, ღონეს უორკეცებს, ამხნევებს.

მთელი ღამე შეშინებულ ქურდივით მიჰქროდა და, ხოლო მზის პირველ სხივების გამოშუქებისას მიაღწია ხშირ ქალას; აქ ღონემ უღალატა და თითქმის უგონოთ დაეცა შტოებიან ხის ქვეშ.

სწორედ იმ დროს, როდესაც მენდი ქალაში შევიდა, საყვირის ხმა გაისმა, რომელიც სამუშაოთ აგროვებდა ზანგებს. გამოუძინებელნი, მშვივრები მიეშურებოდნენ თავის ქოხებიდან ტომრებითა და ცარიელი კალათებით ხელში მინდვრისკენ. პლანტაციის პატრონმა მალე მოისაკლისა მენდი.

— სად გადიღუბა ის ზარმაცი, ისა?— დაიყვირა პლანტატორმა და მიუახლოვდა კვიმოს.

— არ ვიცი, ბატონო!— მიუგო კანკალით ზანგმა.

— არ იცი, შე უმზავსო!— უარესათ დაუყვირა მისტერ ჯონსონმა და წასწვდა კისერში კვიმოს, — არ იცი, მე შენ გჩვენებ სეირს და თქვენ ყველას, რომ შემდეგში უფრო შეგტკივდეთ გული თქვენი



ბატონისათვის. თქვენ კი, ეხლავე აუშვით ძაღლები და ათი კაცი დაადევნეთ უკან! მაგრამ, თუ მენდის მოგიყვანიათ, მაშინ გაყურებინებთ სერის!

მაშინათვე აუშვეს ორი უშველებელი, ღონიერი ძაღლი მარსი და კვინტო განსაკუთრებით გაწვრთნილი ზანგების დასაჭერათ და კვიმბოს ქობთან მიიყვანეს. ძაღლებს მენდის ძველი თავშალი მიუგდეს დასასუნავათ.

ამის შემდეგ ძაღლები პირდაპირ პლანტაციისკენ გაემართნენ. კაცები ძლივს მისდევდნენ. თვითონ პლანტატორი მიუძღოდა წინა და გულ-მოდგინეთ ათვლიერებდა თვითეულ ბუჩქს.

შუა დღე იქნებოდა რო ქალას მიაღწიეს. ძაღლები ყფით შეცვივდნენ ატეხილ ტყეში, მაგრამ მენდის მახვილმა ყურმა გაიგო თუ არა ძაღლების ნაცნობი ყეფა, კატის სიმარდით ავარდა შტოებიან ხეზე და ფოთლებში მიიმალა.

შიშმა ღონე მისცა: ციყვივით ებლაუჭებოდა ტოტებს და თან და თან წინ მიიწევდა.

პლანტატორს ეშინოდა ტყის სიღრმეში შესვლა, რომ დანარჩენი მონებიც არ გაქცეოდნენ. ძაღლებმა კიდევ, რომლებიც ყოველ ხესთან ჰყეფდნენ, სულ დაუბნიეს გონება.— საზიზღრებო, ბუზღუნებდა პლანტატორი, რა უთავბოლოთ ჰყეფავთ! ნაფეხურებსაც კი ვერ ბოულობთ: ხეზე ვინ ავიდოდა, თქვე სულელებო? ფრინველს ხომ არ ეძებთ?

გაბორბოტებული და უკმაყოფილო მთელი ქვეყნიერებაზე, დაბრუნდა მისტერ ჯონი პლანტაციაზე. მთელი დღე კვიმბოს ჩასციებოდა, მას კიდევ მუშაობის თავიც კი არა ჰქონდა. შვილის შესახებ ის მაინც იცოდა რო უვნებლათ არის ახალ ბატონთან, მაგრამ, რაც შეეხება მენდის, არა იცოდა რა... სად არის, ცოცხალია თუ მკვდარი? გააფთრებული პლანტატორი ყვიროდა, ილანძლებოდა.

საბრალო კვიმბო მწუხარებისაგან ავად გახდა.

მ. იაშვილისა.

(დასასრული იქნება)

ეარაბოღლი

(ზღაპარი)



ვეებს გაჰევა ეარაბოღლი, ხელმწიფეს შვილი კი შინ დარჩა. ქალმა მთელი კომპი დაატარა, უხვეს ეველა თავისი საუნჯე, მხოლოთ ერთი ოთახის კარი არ გაუღო; ემწვილი ეხვეწებოდა ეს კარიც გაეღო, მაგრამ ქალი არ უღებდა. იმ კარის გასაღები ქალს ნაწნავის ძირში ჰქონდა ჩაწული. როდესაც ქალს დაეძინა, ემწვილმა მაშინვე შეაჭრა სკანალები, წავიდა ჩუმათ, გააღო იმ ოთახის კარი. შიგ ება ცხრა თავიანი დევი. დევმა ქლიბი სთხოვა, ემწვილმა მიაწოდა. დევმა ჯაჭვი აიშვა, ემწვილი იქვე მოკლა. თითონ გამოვარდა და ქალი გაიტაცა.

ამასობაში მოაგონდა ეარაბოღლის ხელმწიფის შვილი, დაისხა წეალი ხელის გულზე, წეალი სისხლათ იქცა, სთქვა: ახლა კი დავღუწულვარო. დევეებს უთხრა, ჩქარა გავბრუნდეთ, ხემწიფის შვილის თავს რაღაც უბედურება არისო.

სახქართო გამოეშურეს სასლისაკენ. ნახეს ქალი არსად არის, დედა ზის და ტირის. დიარეს ოთახები, ნახეს ცხრა თავიანი დევის ოთახის კარი ღიაა, ხემწიფის შვილი მკვდარი გდია. ამ დროს გამოძვრა თავის წრეწუნა, დაუწყო სისხლს ღოკვა. გაბრახებულმა ეარაბოღლიმ თავის წრეწუნა



მოჰკლდა. გამოვარდა თავის დედა, ნახა მოკლუნი შვილი, გაიქცა, მოსწვევით სამეური ბაღასი, მოესმოუსვა, განაცოცხლა და გაიქცენ. ეარაბოღლიმაც იბოვა სამეური ბაღასი, მიუს-მოუსვა სემწიფის შვილს და განაცოცხლა. სემწიფის შვილმა თვალები მოიფშვნიტა: „ეს რამდენი მძინებიაო“.

— არა, კი არ გეძინა, მკვდარი იყავი და მე განაცოცხლეო. ეს რა გიქნია, სადა არის დევი ან ქალიო? სემწიფის შვილი, შეწუხდა, მაგრამ რადან უშეგლიდა. დევებმა ჯავრობა იწვეს, მაგრამ ეარაბოღლიმ დაამპვიდა. მე მოვიყვან იმ ქალსაც და იმ დევსაც მოჰკლავო.

შეჯდა რაშყე, სემწიფის შვილი დევებს ჩააბარა და უთხრა. — სამი წელიწადი მომეცით ვადა, თუ მოვედი და მოვიყვანე ქალი რომ კარგი, და თუ ვერ მოველი თქვენი ნებაა, რაც გინდათ ის უყავით ჩემ მძასაო.

ეარაბოღლი საძებრათ წავიდა. ერთს ადგილას ნახა რომ სნაკენ, გუთნის დედა, რამდენიც ბელტი გადავარდება, აიღებს და გადაულანავს.

უეურა ეარაბოღლიმ და უთხრა: რას შვრები კაცო? მგასე საკვირველი არა მინახავს რაო.

— ეს რა გასაკვირია, საკვირველი ისარის, რომ ეარაბოღლი ცხრა მძა დევს დაუძმობილდაო.

— ის ეარაბოღლი მე ვარ, წამოდი ჩემთანაო. წავიდნენ ერთათ. გზასე შემოსვდათ მღვდელი, რომელსაც ეკლესია ზურგზე კვიდა, სადაც უნდა დადგამს და ილოცებს კიდევ.

ეარაბოღლიმ უთხრა: — ეს კი აღარ მინახავს, რომ ეკლესია ზურგით დაქონდესო.



— ეს რა არი—საქმე ის არის, რომ ეარაბოღლი ცხრა ძმა დევს შეუვიდაო.

— სწორეთ ის ეარაბოღლი მე ვარ, წამოდი ჩემთანაო.

წავიდნენ სამივენი, ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ ერთი კაცი ზღვას დასწაფებია და უნდა დააშროს. გაუგებრდა ეარაბოღლის და უთხრა:—რას შერები კაცო?—ზღვა უნდა დავაშროვო. ეს კიდეც რა გასაკვირია, გასაკვირი ეარაბოღლის საქმეებიაო. —მაშ წამოდი ჩემთან ის ეარაბოღლი მე ვარო.


წავიდნენ ოთხივენი ერთათ.

მივიდნენ იმ ხაროსთან, სადაც დევს ქალი ჩაუკვანია. ეარაბოღლმა უთხრა აქ დავბინავდეთო. სამნი სანადიროთ წავიდნენ, ღვდელი ბინაზე დასტოვეს. მღვდელმა შედგა დიდი ქვაბი სორცი და ხარშვა დაუწყო. შუა დღე რომ მოვიდა ამომგრა ცხრა-თავიანი დევი, მოსტაცა ქვაბი და ხარში გააქანა. მოვიდნენ ამხანაგები, მოიტანეს ნანადირევი, უთხრეს ქვაბი რა უეავიო?—დევმა მომტაცაო.

მეორე დღეს ბინაზე ბელტის ელანია დატოვეს. იმასაც ის დღე დაადგა.

მესამე დღეს ზღვის სრუტია დასტოვეს ბინაზე. იმასაც ის დაემართა. მეოთხე დღეს თვითონ ეარაბოღლი დარჩა ბინაზე. შედგა ქვაბი, კერძი მოხარშა, შეანელა, შვილდ-ისარი მოიმარჯვა. ამოვიდა დევი მოუახლოვდა თუ არა, ეარაბოღლიმ შვილდ-ისარი სტეორცნა და იქვე მოკლა დევი, აკეზა, აკეზა და ხორცის გროვა დააყენა.

მოვიდნენ ამხანაგები. ნახეს დევი მოკლულია. ისადილეს და სადილის მერე წავიდნენ ხაროსთან;



ჩაიხედეს: დაინახეს ქალი იჯდა დაღონებული. ჯერ მღვდელი ჩაუშვეს ხარობი ქალის ამოსაყვანათ, რამ დაიძახა, დავიწვი, დავიწვი, აძწიეთო. ამოსწიეს და ამოიყვანეს. მერე ჩაუშვეს ბელტი-ელანია — „დავიწვი, დავიწვიო.“ ისიც ამოიყვანეს. ჩაუშვეს სღვაწრუტია, ისიც ისევე ამოიყვანეს. ბოლოს ყარაბოღლიმ სთქვა: ახლა მე ჩავად, რამდენიც დავიძახო „დავიწვიო,“ იმდენი ძირს დამწიეთო.

ჩაუშვეს, ყარაბოღლიმ რამდენიც დაიძახა „დავიწვიო“ იმდენი ძინს ჩაუშვეს. ჩავიდა ქალთან.

ქალი შემინდა.

„რათ ჩამოხველი, საცაა დევი მოვა, შეგჭამსო“

— ნუ გეძინიან, ის მოგკალი და შენ უნდა განთავისუფლო.

— ჯერ შენ მოეჭიდე ამ თოკს და მერე მე მოვეჭიდებო — უთხრა ქალმა, — არაო, უნახუსა ყარაბოღლიმ. ჯერ შენ მოეჭიდე, ბოლოში მე მოვეჭიდებო.

— ამხანაგები გიღალატებენ.

— არ მიღალატებენ ჩემი ამხანაგებო.

— ყარაბოღლი, იცოდე გიღალატებენ. და რაკი არ დაგიძლია ეს ძინიც დამიჯერეო — შენ რომ შიგვე ჩამოგაგდებენ, აქ ორი თხა გამოვარდებ, ერთი შავი, მეორე წითელი. წითელზე შეჯდები — მადლა ამოგიყვანსო, შავზე შეჯდები — ქვესკნელს ჩაგიყვანსო. იცოდე — წითელზე შეჯექი. ქალი მოეჭიდა თოკს სეკით, ყარაბოღლი ბოლოსე. ასწიეს ქალი, გადასევს, ყარაბოღლი ისევე შიგ ჩავადეს.

გამოვარდა ორი თხა. გადაჯდა შავ თხასე და გააქანა იმან ქვესკნელისაკენ. გავიდა ერთ ქვეყანაში. მივიდა ერთ ბებრის ქოხთან. ერთ დედაკაცს გადაბოტნა ვარცლსე.



— რას შვრები, ბებერო?

— ეჰ, შვილო წყალი არა მატკეს, უნდა მოვსილოყო.

— როგორ თუ წყალი არ გაატკეს?

— ჩვენი წყალი ვეძახს აქვს და ვინც თითო შვილის მისცემს, იმას აძლევს წყალსო.

— მამ მოიტა ჭურჭელიო, მე მოვიტან, უთხრა ეარაბოდლიმ. ბებერმა მისცა დიდი კოკები.

— შვილო, ვაი თუ შენც გავაფუჭოს ვეძახდაო.

— ნუ გეძინიან, დედი.


წავიდა ეარაბოდლი, აავსო ჭურჭელი, ნახა წყლის ზირს ხემწილის ქალი სის და ელის ვეძახს, რომ მოვიდეს და შეჭამოს.

ეარაბოდლიმ სასქაროთ მიუბრუნა ბებერს წყალი და უთხრა: სუფთათ გამოაცხე შურიო. მეც შენი სტუმარი ვარო. თითონ კი ისევ სასქაროთ გაატკანა წყლისაგან ქალთან, უთხრა:

— ნუ სტირი, ნუ გეძინიანო.

— არაო, შენც შეგჭამს, ცოდო ხარ, წადიო.

— არა, მე შენს კალთასე დავიძინებ, და როცა მოდიოდეს სამი ცრემლი დამაკდე და გავიღვიძებო, უთხრა ეარაბოდლიმ. დაიძინა ეძაწვილმა. შუადღისას მოდის ვეძახი, დაინახა ქალმა, სამი ისეთი ცრემლი დაავლო რომ ეარაბოდლი ფეხსე წამოვარდა. ესროლა ვეძახს ხახაში და მოჭკვლა. აკეწა, აკეწა და ქალს უთხრა. — წადი მამა-შენთან. ქალი გასარებული წავიდა შინ, მამას არა სჯეროდა ვეძახის მოკვლა. შვილი ეფიცებოდა, რომ ერთი ეძაწვილია ამა და ამ ბებერთან, იმას მოკვლაო. მეფემ დაიბარა ეარაბოდლი, გამოჭკითსა ვინაობა. ეარაბოდლიმაც



უამბო ეველაფერი. ხემწიფეს მოეწონა და უთხრა: შეილო, რასა მთხოვ, რითი დაგასახუქროვო? გინდა ჩემი ქალი შეირთე ცოლათო და ჩემ სახელმწიფოსაც მოგცემო.

— არა, მე მადლა ასკლა მინდაო.

— შენი მადლა ავეანა არავის შეუძლიაო ფასკუნჯის მეტსაო. იმას ერთი მეტერი ჰქვავს—არწივი, შეიღებს უჭამს, თუ იმას მოჰკვლავ ის ავიკვანს და მეც, რასაც დამავალებ შეგისრულებო.

წავიდა ყარაბოღლი იმ ხის ქვეშ, სადაც ფასკუნჯის ბუდე ჰქონდა, წამოწვა მწვანესე და დაიძინა. უცებ ბღარტებმა წივი-წივი დაიწყეს. წამოხტა ყარაბოღლი, ესროლა შეიღ—ისარი, არწივი ძირს ჩამოაკდო და ბღარტები გადააწინა. მოვიდა ღედა ფასკუნჯი და ყარაბოღლის შეჭმა დაუძირა. შეიღებმა უთხრა—არწივი მაგან მოკლავ და მადლობა უნდა უთხრაო. გაუსარდა ფასკუნჯის და უთხრა.

— რას მთხოვო?

— მადლა აძიევანეო. მიუგო ყარაბოღლი.

— კარგი. წადი, უთხარ ხემწიფეს მოგცეს ცხრა კამეხი, ცხრა თონე ზური, ცხრა ჩაფი ღვინო.

წავიდა ყარაბოღლი ხემწიფესთან და ეს ეველაფერი სთხოვა. ხემწიფემ მისცა რაცა სთხოვა. დალაგა ფასკუნჯის ფრთებზე, დასახუქრო ფულითაც, დაჯდა ყარაბოღლი ფრთებზე, და რამდენიც ფრთას მოიქნევდა, იმდენი თითო ნაჭერ სორცს და ზურს და ღვინოს ჩაუსხამდა. სულ მადლა რომ ავიდა ერთი ფრთის მოქნევა აკლდა, სორცი გამოეღია. გამოიჭრა წვივის ნაკუნწალი და ჩაუდო ზირში. ფასკუნჯმა ყარაბოღლი ხმელეთზე გადასვა. ყარაბოღლიმ კოჭლობით გაიარა.



ქართული
ენის ინსტიტუტი

— რათა კოჭლობო?

— ბოლოს სორცი შემომაკლდა და შეკა

მოვიტერ კუნთი და ის ჩავიდეთ.

— ე, რა გემრიელი იყო, რატო არ ვიცოდი, იქვე შეგჭამდი.

გამოიმრო ფრთა, მისცა: „მოისვი, მოვირჩებაო. მოისვა და მოურჩა.

— ძალიან შორს გამეცაღე, თორემ მე რომ ფრთას მოვიქნევი, იმისთანა ძალა აქვს რომ, შეიძლება შიგ ჩავიტანოვო.

ყარაბოღლი შორს გაეცაღა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, იზოვა თავისი რაში. შემოხვდა ერთი მწვემსი, ჰკითხა:

„თქვენში რა ამბავიაო?

„მღვდელი ჯვარს იწერს ყარაბოღლის მოტაცებულ ქალსედაო.“ — მოძე ეგ შენი ფარავა, ჩემი ჩონა შენ ჩაიცვიო. ეგ საღამურიც მათხოვე და გამოძეე, ქორწილში ერთად წავიდეთო. მწვემსი დაეაბულდა. წავიდნენ. ჯერ სამხარეულოსთან მივიდა ყარაბოღლი, ერთი ჯამი დგინო დალია, მერე კარებთან მივიდა სადღეგრძელო დალია მეფე—დედოფლისა. ბოლოს შეიღდ-ისარი მოიმარჯვა და დაუმიხნა: ხარსა თუ ფურსაო? ფურისა რა ბრალია—ხარსაო!

ჰკრა ისარი და მოჰკლა მღვდელი. გადიმრო ფარავა. მოსჭიდა ქალს ხელი და გამოიყვანა. შესედნ რაშე და წავიდნენ. იარეს, იარეს, და კიდევ სრულდებოდა სამი წელიწადი. ქალმა უთხრა ვაჟს:

— გაისროლე შეიღდ-ისარი, გაიგონ ჩვენი მისვლაო, თორემ ხემწიფის შეიღს მოჰკლავენო.

ყარაბოღლიმ გაისროლა ისარი, და სწორეთ



იმათ კარზე დაერჭო. გამოვიდნენ. ხან ერთი დაეჭი-
და ისარს, ხან მეორე, მაგრამ ძვრს ვერ უეკეს. ქაღ-
ვაქმა მიაღწია, ერთი მსიარულობა შეუდგათ, გამარ-
თეს სადილი, სეიმის დროს ქალის ძმებმა სოქვეს,
ჩვენ დას ვეღარ ვაგატანთო, თუ ხემწივის შვილი
აი ამ ალვის ხეზე წყალს ისე აიტანს, რომ წვეთი
არ დაიდვრება მივცემთ, თუ არა და არაო.

დადეს ზირობა, გაუინეს ქვეშ წითელი ძაუდები,
მისცეს თასით წყალი. ქალმა გამოიძრო ბეჭედი, მისცა
ვაქს და უთხრა: როცა ხევით ახვიდე, ეს ბეჭედი
შიგ ჩააგდე, წყალი გაიუინებაო და აღარ
დაგედვრებაო. ვაქმა აიღო თასი, ავიდა ალვის ხეზედ,
ჩააგდო ბეჭედი. წყალი გაიუინა. ვაქმა გადაჭხადა
თავის სახემწიფოს და დაინახა რომ შავი კარავები
იდგა, დაიწყო ტირილი და ცრემლები გადმოცვიინდა.

ღვევებმა დაიძახეს, მოჩხა, ჩამოდი, ჩამოდი, ჩვენი
ხარო,“ არაო უეციებოდა ვაჟი, ცრემლიაო, ნახეთ
თუ ძლაძე არ არისო. ჩემი სახემწიფო დაუინახე და
ტირილი მომივიდაო.

ნახეს ძლაძე იყო. ჩამოვიდა. ჩუმათ ამოიღო
ბეჭედი. კარგი დრო ვაატარეს. მეორე დღეს შეს-
დნენ ცხენებსზე: ქალი, ხემწივის შვილი და ეარა-
ბოღლი. ძმებმაც გამოაცვილეს. თავის სახემწიფოში
რომ მივიდნენ შავი კარავები წითლათ შეცვალეს. სამი
დღე და ღამე ქორწილი ჰქონდათ, მეც იქ ვიყავი,
თაფლი და ზური ვჭამე, ზირში არ ჩამსვლია რა და
ულვაშებზე კი ჩამომდიოდა.

ჩაწერილი ქეთო მირიანაშვილის მიერ.

(დასასრული).



პატარა ნიკის მატარებელი

პატარა ნიკს ძალიან უყვარს თვითმავალები (ავტომობილები) და მატარებელი, როგორც ნამდვილი, ისე სათამაშო. მაგრამ ეხლანდელ დროში ამგვარი სათამაშოები სოფელში კი-არა, ქალაქებშიაც თითქმის აღარ იშოვება.

ვინც მოისურვებს თავისი უმცროსი და-ძმა ასი-ამოვნოს, მას შეუძლია მშვენიერი ორთქლმავალი, სხვა და სხვა ვაგონები და თვითმავალა ამოსჭრას და გამართოს ძველ სათამაშო კარტებიდან; ამისი თარგები „ჯეჯილის“ შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული. ვინც თვითონ ვერ მოახერხებს ამ თარგების გამოყენებას, მათ, იმედია, ხელგარჯილობის მასწავლებელი მოეხმარებათ.

რუსუდან.

ზ ა ს ა რ თ ო ბ ი

ქალაღდის მამალი ლიზამ გააკეთა, შეჰღება გვერდები, ბიბილო უკეთა; ჩაცუცქდა. აღერსით, შეჭხარის მამაღსა, თან მღერის და ლექსათ ლიკლიკებს ამასა: გაფრინდი, მამლიკო, ეხლავე ბავშვებთან, ეგებ მოელხინოთ საწყლებსა შენთან.



ახ, ჩემო ია!



ი, შენი ქირიმე! ნახეთ ბიჭი! ხელად დაგიჭირე თუ არა! უი, და, და, და, რა ლამაზია!.. დაიცა, დაიცა, რა გაფთხბრიალებს? სად მიხვალ სად; ვინ გაგიშვებს, შე საწყალო? ნუ ფართხალობ, თორემ ეგ მშვენიერი ქრელი ფრთები სულ გაგიფუქდება; დაიცა თორემ გინგლი გადაგდის... — ბუერას მალალ ფოთლებთა შორის გაპკიოდა გიორგი და პაწია ხელში შეფრთხილებულ პეპელას მოლიმარ სახით დასჩერებოდა.

— უი, მართლა რა მშვენიერია! მაჩვენე, მაჩვენე, შენ თავშემოგველე! იცი რა გითხრა; აი, ამ ჩემ კოხტა კოლოფში, მწვანე ქიასთან ერთად ჩავსვათ, ორივე ერთმანეთს დაამშვენებენ. რა არის, შენი ქირიმე, ასე შენი ძალლი ვუყო!.. ყელ გამოწვევით ეხვეწებოდა პატარა ლიზა, როცა ნახა, რომ პეპელა მართლა ლამაზი იყო. პეპელას მიხაკის ფერ ფრთებზე შავი ზოლებით შემოხაზული — ორი ცისფერი წერტილი ისე დიდათ ასხდნენ, რომ ერთი შეხედვით გაჭყეტილ თვალებს უგავდნენ. ზურგი და ტანი სისხლისფრათ იცქირებოდნენ; გიშერივით შავი ფეხები და გრებილი უღვაშები იმ წითელ ზურგს და ფრთებს ისე ძლიერ უხდებოდნენ, რომ გეგონებოდათ ძვირფასი ხელოვნებააო.

— შენი თავის მზემ, შენ კოლოფში ჩავსვამ, რომ იმ წამსვე სული ამოსძვრეს?! არა, შეილოსან, ამას იმისთანა



სასახლეს გაუკეთებ, რომ თავი მართლა მეფეთ იგროძოს შენ დამაცალე...—ამ სიტყვებთან ერთად გიორგი ფრინველი რუზე ისე გადმოხტა, სახლში ფიცხლავ მიირბინა, უმფროსი დის თეთრი ფეხსაცმლის „კარდონის“ ყუთი საიდგანაც გამოიხაზა, მძიმეთ ჩაწყობილი ფეხსაცმელი იქვე მიყარა, ყუთის თავს ზედა პირი ამოაქრა და საქმეს გატაცობით შეუდგა: ამოქრილ სახურავს ძაფის ხლართი გაუკეთა, სველი მიწა და წმინდა ქვიშა ჩაყარა, ზედ იისა და გაზაფხულის ყვითელი ყვავილების პაწია ბალჩა გააკეთა, შიგ თავისი მშვენიერი ტყვე ჩასვა და თავი დახურა.

პეპელამ განთავისუფლება იგროძო თუ არა, ღონივრად შეიფრთხრიალა, ხლართულიდგან ფირუზის ფრად გაღიმებულ ცისკენ გასწია, მაგრამ სად წავიდოდა? ბარემ ბევრი ივაგლახა, ძლიერ ბევრი იფთხრიალა, და რაკი ვერას გახდა, დაღლილ-დაქანცული ყუთის ერთ ჩამოზნელებულ კუთხეს მიჯდა და მდულარება ამოუშვა.

დიდ ხანს ტიროდა თავის უბედურებაზე, მგროძობიარე მოთქმით ეთხოვებოდა თავისუფალ ველ-მინდვრებს, დილის სიოს, ვარდ-ყვავილთა მშვენიერებას და მათზე მოციმციმე ცვარს; გულ ამომჯდარი თავის ნათესავ—მეგობართ ხმა მაღლა საშველათ უხმოზდა, მაგრამ სატუსალოდან ვის რას გააგებინებდა; ან თუ არ განგებას ვის შეეძლო იმისი შველა.

მწუხარებით მოღლილ-მოქანცული ცოტას რომ დაისვენებდა და ძალა მოკრფეილი თავის გარემოებას ისევ გაიფალისწინებდა—გამწარებული უმალ ისევ შეიფრთხრიალებდა და გულსაკლავათ გაიძახოდა:

— ღმერთო ჩემო! სადა ვარ, სადა? ნუ თუ ეს სხვა ქვეყანაა, ნუ თუ ეს ტანჯვა საქირო იყო?! მე ხომ მხოლოდ გუშინ გავჩნდი, მე ხომ ჯერ არც კი დავმტკბარვარ იმ ბედნიერებით; მაშ აქ რად უნდა ვიტანჯებოდე, აქ რად უნდა ვიბრჩობოდე?! ჩემო ღამაზო ყვავილებო, თქვენ ხომ ისე ძლიერ მიყვარდით, თქვენ ხომ ყოველ წამს თავს გველებოდით, მიშველეთ, მიხსენით იმ სიყვარულის გულისთვის; თქვენ ხომ იცით, რომ სული ჩემი ამ სიბნელეს არა სჩვევია! გული მიწუხს, გული!..

პეპელამ უკანასკნელათ შეიფრთხრიალა, მაგრამ ვიწრო კოლოფში ბორკილ დადებულღვით წაიბოროძკა და ქანც მიწყვეტილი იქვე თავ-ჩაქინდრულ იას გულზე დაეცა. იის ნა-

ზმა სუნმა და სიგრილემ მის შეჩოჩქოლებულ სულს შეფრთხილავდა ვათი მისცა. მან იის სუნი ღრმით შეისუნთქა, სული განაბა და ყური დაუგდო.

ია იმ წამს ქანც მიღებული ჩუმათ, ძლიერ ჩუმათ, ოღონდ მთელი თვისი სასოებით ამას ჩურჩულებდა:

— აჰა, შენ მაინც იცოცხლე ჩემზე მეტი; აი, მიილე უკანასკნელი ჩემი ნექტარი, დაღლილი სული მოიბრუნე და იქნებ როგორმე კიდევ განთავისუფლდე, იქნებ შენ მაინც შესძლო, ის ძლიერი სიყვარული ყველას ამცნო და აგრძობინო, რაც ჩვენს გულში სიცოცხლესთან ერთად დაბადებულია. ახ, რა რიგ მინდოდა ამ პაწია უმნიშვნელო ყვავილს სულ ყველასათვის ბედნიერება და ისეთივე ძლიერი სიყვარული მგერძობინებინა, როგორც მე ვიგრძენ გარემო მშვენიერ ბუნებისაგან...

შენ გვედრები, ქვეყნათ მოპტინე ჩემი უკანასკნელი ამოძახილი, რომ ყველაფერი ძლიერ... იას სუნთქვა შეუკრთა... ჩურჩული შესწყდა და გვერდ მიდრეკილი ლამაზი თავი უმაღ ძირს ჩამოუვარდა.

კვდებოდა ია და სურნელება კი მის გარშემო თან და თან ძლიერდებოდა.

იის ნაზი და ძლიერი სული მთელ ოთახს ედებოდა. ვინც ოთახში შემოდიოდა იის სუნს ისე ძლიერ გრძობდა, რომ ჯერ ღრმად ჩაისუნთქავდა და გაცეხებული აქვთ იქით იხედებოდა, მაგრამ იას კი ვერსად ხედავდა.

პებელა იმ ძლიერი სურნელებით უმაღ დაითრო. მას თავისი გარემოება მთლად დააფიწყდა; მისმა გიჟურმა აღტაცებამ თავისებურათ წამოურბინა და ის ბნელი საკანი ერთ წამს დიდებულ წალკოტათ მოაღანდა. ვინ იცის იმ წამს რა არ იხილა, რა სიმღერა არ მოისმინა, რომელ ყვავილს არ ესტუმრა; ერთი სიტყვით ის იმ წამს ისეთ ბედნიერებას განიცდიდა, სიხარულით გული ისე ეღლებოდა, რომ სუნთქვაც ეხუთებოდა. საღამო ჟამამდე მრავალი წუთები იცოცხლა, მაგრამ ბურანში მყოფს ის ბედნიერება ისე ხანგრძლივად ევლინებოდა, რომ მთელი საუკუნეს უღრიდა. ის ისე მოკვდა, რომ ვერ გამოფხიზლდა, ის მოკვდა და იის სუნი კი ჯერ კიდევ დიდხანს ტრიალებდა.

ის სუნი ფანჯარაში გამომწყვდეულ ჭია მაიასაც აღეღვებდა და აჩოჩქოლებდა. ისიც დიდხანს ფანჯარის მინას უვლ-ჩაუვლიდა, იღლებოდა, ცოტას დაისვენებდა და შემ-



დღე გასანთავისუფლებელ გზას ეძებდა. ბინდმა მოქანცული ჭია მათა ერთ კუთხეში მიკუნჭა და იის სუნით ლმობიერება აღძრულმა ქვეყნის გამჩენს ტირილით შეჰლა-
 ლადა:—ლმერთო ძლიერო! დღე ყოველივე სიკეთე სრუ-
 ლიათაც ნუ გამოჩნდება, აი როგორც ია არა სჩანს, მაგრამ
 მის სიახლოვეს ისე ძლიერ ვგრძნობ, გულს ისე მიწყნარებს
 და მატკობს, რომ ნახევარი ჩემი ტანჯვა შემიმსუბუქა...
 ვკვდებოდი და მისმა სიახლოვემ გამაცოცხლა და ძალა მო-
 მცა, სიცოცხლის იმედი შემძინა, ახ, ჩემო ია!.. ასე წრიპი-
 ნებდა ჭია და თეთრი ფარდის ქვეშ უფრო ძლიერ იკუნჭა.
 ბოდა.

ცელქობით მოღლილ-მოქანცულ პატარა გიორგისაც
 იმავე ოთახში ტკბილათ ეძინა და ამ ამბისა კი არაფერი არ
 ესმოდა რა.

ცქვიტი.



დანგრეული ოჯახი.

(შემდეგი)



ავშთა საავათყოფო ქალაქის მეორე ბოლოზედ არის. იქამდე ხუთი ვერსი მეტი იქნება.—სთქვა ელისაბედმა, როდესაც ექიპი ქუჩის კარამდინ გააცილა. და სახლში შემობრუნდა.

— როგორ უნდა წაიყვანო?—ფაეტონი ათ თუმანს არ დაგჯერდება.

— აი ჩემი უძვირფასესი სამკაული! დამიგირავე, თუნდ გაყიდე, მიუგო თვალცრემლიანმა ელიკომ და ყელიდან მოიხსნა ოქროს ძეწკვით ჩამოკიდებული და აღმასებით შემკული ოქროს საათი, ეს ჩემი ქმრის ნიშნათ მოტანილი ნივთი სიკვდილამდე არ მინდოდა მომეშორებინა გულიდან, მაგრამ შეიღოს კარგათ ყოფნისათვის განა თვით გულის შეწირვას დავიშურებ! მიპატრონე, ჩემო ძვირფასო მხსნელო! და გადაეხვია ელისაბედს, შენ ამაგს არ დავივიწყებ, თუ პირში სული მიდგას. ექიმის მოწვევით შენი სიკეთე ჩემზედ დაუფასებელი შეიქნა და ღმერთი გადაგიხდის.

ბავშთა საავათყოფო, ზუბალაშვილისაგან აგებული, მართლა რომ ქალაქის შორეულ განაპირა ალაგას დგას. მშვენიერია, სამეფო სასახლეს მიაგავს თავისი შემკულობით, დიდ ფართე მოედანზედ და გარშემო მწვანით და დიდრონი ნაძვის ხეებით არის შემორტყმული.

შიგნით მოწყობილებაც საავათყოფოსი შეფუფრება გარეგანს შეხედულებას და თავისი სისპეტაკით მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მიმსვლელ ავათყოფზედ.

შიშით და კრძალვით შევიდა ელიკო ამ კეთილ ადამიანთა ნაგებ სასახლეში და წამსვე გული მოეფონა, როდესაც რამდენიმე დღის წანწალის და სილატაკის ქუჩის განცდის შემდეგ, უშველებელ, მზით გაჩაღებულ, ყვავილებით შემკულ თვალუწვდენელ ტალანში შეიყვანა თავისი ბავში.



ოხ! განგებავ, ყოვლად შემძლებელი, გაიფიქრა თავის გულში ელიკომ, — იქ სადაც სილატაკე და გაქირვებად დაფიქრებული, ამგვარ სიტუაციას რომ არ აღმოაჩენდეს და ამით არ დაუამბდეს სევდის წყლულებს გაწირულებს, რაღა, ფასი ექნებოდა სიცოცხლეს! ნეტარება იმათ ხსენებას, ვინც ააგო ამგვარი ტაძარი შეგებისა, გაქირვებულ სწულთათვის.

— ნუ გეშინიან, უთხრა შუა ტალანში მჯდომმა მორიგე ექიმმა ქალმა ელიკოს: — ბავში მალე მოიხედავს და სუფთად და ფაქიზათ ჩაცმულ დედაკაცს გააყოლა ლამაზ ოთახში, სადაც მხოლოდ ორი პატარა ლამაზი საწოლი იდგა თეთრ სპეტაკ ლოგინით დაგებული.

ხუთი დღე იჯდა ელიკო თავის შეწუხებულ ავითმყოფთან. დღე და ღამ იმის თვალს ცრემლი არ შეშრობია, იმის მუხბრუქ მოჭერილ გულს შეება არ მისცემია. ყოველი ამოკენსა შეილისა, აუწერელს ტკივილით მეორდებოდა დედის გულში. შეილის სამუდამოთ დაკარგვის შიშმა დაფარა ყოველი სხვა იმის განცდა. არც ძილი, არც სმა-ქაშა ელიკოს თვალში არ მოსვლია. ის მხოლოდ ერთი კითხვით იყო გათანგული: ჰო თუ არა!

მეხუთე დღეს მიხას სიცხემ უკლო, ხველამ თითქმის გაუარა, თუმცა საშინელ სისუსტეს ჰგრძნობდა, მაინც გამობრუნება დაეტყო. დედას გაუცინა, უაღერსა. ბოდში მოსთხოვა წყალზედ დაუკითხავათ წასვლისთვის.

— მაპატიე, დედა, მაპატიე! ოღნავის ჩურჩულით წარმოსთქვა მიხომ და ისევ ჩურჩულითვე შეეკითხა: ჩემი ლამაზი ქუდი კი მტკვარმა წაიღო? მერე რაღა დავიხურო!

— ოჰ! შეჰყვირა ელიკომ. — წარსული ჭირი რა სახსენებელია, როდესაც კვლავ შენ იადონის ხმას ვისმენ და შენ მშვენიერ ღიმილს ვხედავ, ჩემო ნუგეშო, ჩემო სასოებავ, და მოწიწებით გადუკოცნა პატარა, გამხდარი, გაყვირებული ხელები.

— ბავშს ნუ აღელვებთ! — უთხრა ღიმილით ამ დროს აქ შემოსულმა ექიმმა მარიამმა ელიკოს — მადლობა ღმერთს, რომ ციებამ ისე საჩქაროდ გაყარა და არავითარი კვალი არ დასტოვა ამის ფილტვებში! —

მარტოდ მარტო დარჩენილი ღელი მთელი დღეები ტიროდა და კარებში იჯდა, იქიდან მოვლოდა დედას, იმის ტკბილ სიტყვას, აღერს და ვერ გაეგო თუ დედა რათ იგვიანებდა.

ჩილინგრიანთ ოჯახის ყოველი წევრი დაყვავების დასრულების მაგივრად უშტრიალებდნენ, პატარა ნუშო ისეთ გულღვივებულად ღვარძლიანი გამოდგა, რომ ჩქმეტით უმასპინძლებოდა, წამდა-უწუმ თავში სცემდა საცოდავს უპატრონოთ დარჩენილ პატარას.

— წადი დაიკარგე! შენ ჩვენთან რა გინდა! ჩვენ პურს რათა სკამ და თან ტანისამოს სწევდა, აწიწქნიდა.

რასაკვირველია არც სიმონა და მაშო უყურებდნენ სიამოვნებით სხვის შვილს, რომელიც ამათ ისეთაც დამშეულ შვილებს ლუკმას უზიარებდა. და ისევ ელისაბედი დატრიალდა.

იმან კარგათ შეიტყო ექიმი ქალის გულმხურვალეობა, კაცთმოყვარეობით გამსჭვალული გული და ისევ იმას მიმართა, დახმარება სთხოვა ბავშვის დაბინავებაში და მართლაც არ მოსტყუებდა. სულ ორ სამ დღეს არ გაუვლია, რომ ექიმი თავის ფეხით მოვიდა და საცოდავი, ორათ მოკუნტული, მშვიერი, ნამტირალევი. პირდაუბანელი და დაუფარცხნელი ლკლი წაიყვანა.

— ეხლა თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ, — უთხრა მოწუწუნე მაშეკოს. — დღეიდან მე ვღებულობ ამ უბედური ოჯახის პატრონობას. გაზეთებში გამოვაცხადებ, მოვიხმობ ამათ მამას და თუ ცოცხალია მას მოგვცემს. მოეშველებო დაკარგულებს. ახლა ელიკოზედ უნდა ვიზრუნოთ, მისი ჯანსაღობა ძრიელ შერყეულია. მშვიერი, უძილო, ლტოლვილება გასაქირის გამოცდის შემდეგ და ავთამყოფის მოვლამ ძრიელ დააზიანა, ახლა უნდა დამშვიდდეს, სკამოს, სვას, დაიძინოს და ყველაფერი კარგად მოგვარდება.

ექიმმა ქალმა მერე ელიკოსაც უთხრა; თქვენი შვილები ნატო და ლელიც კარგად არიან. ნატო ჩინებულათ სწავლობს, სკოლის მასწავლებელნი აღტაცებულნი არიან იმის გონებით და სიბეჯითით.

ექ. ვაბაშვილია,

(დასასრული იქნება)

მაროს წვეულება.



აროს ბაღში ყოველ წელიწადს მწვენიერი ყვავილები იშლებოდა. ეხლაც მრავალი მწვანე კუკური ასხია ვარდის ბუჩქებს. მაროს ამხანაგები მოუთმენლათ მოელიან ვარდების გაფურჩქნას, იციან რომ კეთილი მარო იმათაც დაურიგებს ყვავილებს.

გაზაფხული ძალიან წვიმიანი იყო. შეუძლებელი გახდა კარში გამოსვლა. მოწყენილი მარო გამოიციქრებოდა ფანჯარაში და ნაღვლიანათ უყურებდა თავის ატალახიანებულ ბაღს.

„განა ამდენი წვიმა მოუხდება ჩემ ვარდებს,“ ეკითხებოდა ის მამას.

— არა, შვილო, მეშინია კუკურებს ობი არ გაუჩნდეს, ყვავილს გააფუჭებს, უთხრა მამამ.

როგორც იქნა მზემ გამოანათა, მიწა გაშრა, ბუჩქებს მზიარული მწვანე ფერი მიეცა. მარო სანაჩაროთ ბაღში გამოვიდა და ყვავილებს მიჰვარდა. ბატარა კუკურებს რაღაც თეთრი ობი გადაჰკროდა.

— ვაიმე, ეს რა არის, გაიფიქრა მარომ, მამას უნდა ვაჩვენო, და გულგახეთქილმა გაიქცა მამასთან, თან რამდენიმე კუკური წაიღო. მამამ დაათვალიერა ვარდები, თავი გაიქნია, გამოიღო გამადიდებელი შუშა. მოსჭრა თხელი ობიანი კანი, დაადვა შუშის ფირფიტაზე, დაასხა წვეთი წყალი. კარგა ხანს უყურა გამადიდებელ შუშით ობს. ბოლოს მაროსაც ჩაახედვია შიგ, მარო გაფაციცებით დასცქეროდა ფირფიტას, მაგრამ ვერა გაარჩია რა. „ვერას ვარჩევ“, შერცხვენით უთხრა მამას.

— მაშ დავხატავ რაც შიგ არის და მაშინ გაიგებ. აი აქ თავდება წვრილი კანი ვარდისა.

— ეს უჯრედები უნდა იყოს, რომლისგანაც მთელი მცენარე შედგება, დაიყვინა გახარებულმა მარომ.

— მართალს ამბობ ეს კანის უჯრედებია. ეხლა დააკვირდი ამ უჯრედებს, ზემოდან რალაც ბეწვები ამოსვლია. არის ამ ყვავილის მტერი, ერთგვარი სოკო, რომელიც შეგებს თავის პაწია საწუწნავ ფესვებს ზედა კანის უჯრედებში და წაართმევს ყვავილს მასაზრდოებელს წვეს. —

მარო დააკვირდა ბეწვებს. ყოველი ბეწვი აპართული იყო ზევით და პატარა ჯაჭვით გადაბმული პაწია ბურთულეებისაგან. ზოგი ბურთულა ძირს იყო ჩამოვარდნილი.

— ეს ლამაზი ბურთულეები რას წარმოადგენს, იკითხა მარომ.

— ეს სპორებია. სპორა რო ჩამწივდება, მოსწყდება საფეხურს, ქარი მას წაიღებს და სხვა ბუჩქებზე გადაიტანს, აქ ის გაღვივდება, გაიზრდება, საწუწნავებს გამოუშვებს და იმავე ხეს გაუჩენს მეორე მცენარეს, სოკოს. იმას საქალგასავით დიდი თავი და საფეხური აქვს, ზოგი სოკო იჭმევა კიდევ და ეს კი ნამდვილათ ობსა ჰვავს.

— მართალია, განაგრძო მამამ, შეხედულობით ეს სოკოები ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ რო დავაკვირდეთ ვნახავთ რო ორივე ძაფებისაგან შესდგებიან, სპორებით მრავლდებიან და ორთავე პირდაპირ მიწაზე ვერ ხარობენ, ისინი საზრდოობენ ან ცოცხალ მცენარეზე ან მცენარის და ცხოველების ნაშთებზე.

— და მერე რათ არ შეუძლიან მიწიდან ამოსწუწნონ საყვებავი წვენი, სხვა მცენარეებით? გაოცდა მარო.

— იმიტომ რომ მათ არა აქვთ ნამდვილი ძირი, არც მწვანე ფოთოლი რო ჰაერით ისუნთქოს და ისარგებლონ სხვა და სხვა საშუალებით, უპასუხა მამამ.

— მაშ კიდევ იმიტომ მოიკალათა თავი ჩემ ვარდებზე ამ საძაგელმა მუქთახორამ, რალა ეშველება ეხლა ჩემ ვარდებს, სთქვა შეშინებულმა მარომ.

მამამ შეათვინა დიდი წიგნი გადმოიღო, გადაჭურცლა და ხმა მალლა წაიკითხა „ვარდის ობის მოსასპობათ, კუკურებს გოგირდის ფხვნილი უნდა დაეყაროს.“ ჩვენც ასევე მოვიტყეთ, სთქვა მამამ, ჩაჰკიდა ხელი მაროს და ჩამოვიდა ეზოში. ძირს სარდაფში ბოჭკით გოგირდი იყო შენახული. ერთი პატარა კასრი გოგირდი წამოიღო მამამ, მარომ კი პატარა საბერველი. საათის განმავლობაში მოაყარეს ფხვნილი თითქმის სუყველა ბუჩქებს. და ასევე გაიმეორეს რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ორჯერ.

როგორც იქნა ამიდი დადგა. მარო ბაღს არ შორდებოდა. მთელი დღე, სამუშაო ტანისამოსში გამოწყობილი, ის ხან ბარით, ხან ფორცხით ხელში, მუშაობდა. მოაღწაწა, მოკაწმა! ბაღში ბილიკები გასუფთავებული და წითელი ქვიშით მოყრილი იყო, წარსულ წლის ნაყარი ფოთოლი, ბუჩქების ძირს შეაგროვა, უშნოთ გადმოვარდნილი შტო ბასრი მკრატლით შეაჭრა. ბაღს დიდი სისუფთავე და მოვლა დაეტყო. ბუჩქები სხვა და სხვა ფერი ვარდებით იყო აჭრელებული, ტკბილი და სასიამოვნო სუნი დადგა ბაღში. ეს სულ მაროს ნამუშაო იყო.

ხვალ მაროს წვეულება აქვს. ის მოელის თავის მეგობრებს, რომლებსაც ყოველ წელიწადს იწვევს, მათში, ვარდების გაშლის დროს. ამის გამო, შუა ბაღში დიდი მაგიდა დგას, იქ უნდა გაშალონ სუფრა, ალაგ ალაგ, თეთრათ შეღებილი სკამები მოჩანს ვარდის ბუჩქებში მიშალული. გაჭიმულ თოკზე ქაღალდის ფარნები ჰკიდია, იმათ საღამოს აანთებენ. ბაღის ბოლოში პატარა გაწმენდილი მოედანია დატოვებული კროკეტის მოთამაშეთათვის. ბაღი მზათ იყო სტუმრების მისაღებათ, მარომ უკანასკნელათ თვალი გადააფლო ბაღს და გაიქცა შინისკენ. ბაღში მუშაობით დაღლილმა მარომ გემოიანათ შეექცა ვახშამს და მალე ტკბილათ დაიძანა.

* *

მზე უკვე მალლა იდგა, როდესაც მარომ გამოიღვიძა. „როგორ დამგვიანებია. სადაც არის სტუმრებიც მოვლიან, მე კი ჯერ ჩაცმულიც არა ვარ, უსაყვედურა მარომ თავს.“ ჩაცმა, პირის დაბანა და დავარცხნა, წუთის საქმე იყო. მზიარულათ მიესალმა მარო დედმამას და დილის საუზმეს შეექცა.

— დედი, გენაცვალე, რას უმზადებ დღეს ჩემს სტუმრებს, ნამცხვრები და ქაღები ხო გვექნება, კიდევ მარწყვი და...

— მოითმინე, სტუმრებს ხო ნამცხვრებით ვერ გააძღებ, იმათ სადილიც დასჭირდება, უთხრა დედამ.

— არა, იმას არავინ მიეკარება. ჩვენ მხოლოდ ტკბილეულობა გვინდა.

დედას გაეცინა გულში და არაფერი უთხრა მაროს.

* *

თორნეტ საათზე პირველი ზარი დაირეკა. მარო მიეგება სტუმრებს, მეზობლის ქალებს ლელის და ლიდას, შემდეგ მოვიდნენ მაროს ბიძაშვილები ნინა და მესამე კლასის გამნაზიელი გოგი და არჩილი და სხვები. ბავშვები ბაღში



ჩაეიდენ. პატარა ლელი ბაღში ვარდებში აღტაცებაში მოიყვანა, „რა მშენიერებაა, ხვევრდსა ჰგავს ეს წითელი ვარდნი ჩვენ ბაღში კი რალამაც გააფუჭა ყვავილები, სულ დაქუული და დამახინჯებულია“. მარომ აუხსნა როგორ უშველა თავის ყვავილებს. ბაღში თამაში გაიმართა. „მე მალულობას ვითამაშებ, ვის გინდათ, იძახოდა, ლელი, აქ ბუჩქებში კარგათ დავიშალებით.

უფროსი ბავშვები წავიდნენ კროკეტის სათამაშოთ, მათ შორის ლიდა, გოგი, და არჩილი. მარო დარჩა პატარა ბავშვებთან. როცა სირბილით და ხტომით გული იჯერეს, მოიტანეს დედოფლები და გამართეს „სტუმრობია“. ბავშვები ორ ჯგუფათ გაიყვეს, და თავის დედოფლებით ერთი მეორესთან სტუმრათ მიდი-მოდიოდნენ. „ჩემ დედოფალას, „ოპერაცია“ უნდა გაუკეთო, იძახოდა ლელი, ეკალი შვერტო. საბრალო დედოფალას გაუჭრეს ფეხი, რის გამოც ფეხიდან ნახერხი გამოცვინმდა და დედოფალა სამუდამოთ დაკოჭლდა.

კროკეტსაც არა ნაკლები ვატაცებით თამაშობდნენ. არჩილმა ყველას გაასწრო და ყოველი ღონისძიებას ხმარობდა, როც პირველი მისულიყო ბინაზე.

— ერთს კიდევ ღონივრათ ვაგვრავ ბურთს და ბურთი სვეტს მიაღწევს, წამოიძახა არჩილმა. ვაგვრავ კიდევ ბურთი, მაგრამ ის ასცდა სვეტს და ბუჩქებში შეგორდა. „უპ, დაიძახა აღშფოთებულმა არჩილმა და საჩქაროთ ბუჩქში შეძვრა, — რა საძაგლობა არის ეს დამპალი ფოთოლი, სულ გავითხუპნე და არჩილმა გამოიღო ტალახიანი ბურთი. — ნეტავი აქ რა უნდა შარშანდელ ფოთოლს, ის შორს უნდა გადაეყარათ, და თან ხელებს და მუხლებს იწმენდა.

— როგორ შეიძლება, სთქვა დაცინვით გოგიმ, — თქვენ როგორც გეტყობა გიმნაზიაში არაფერს ვასწავლიან, თორემ მაგისტანა სისულელეს როგორ იტყობდი. ვანა არ იცი როდამპალი სინოყიერეს აძლიეს მიწას და მცენარეს. ასახრდოებს, ჩვენ ეს უკვე პირველ კლასში გვაქვს გაგონილი. არჩილი გაწითლდა, იმას ძალიან ეწყინა ეს დაცინვა, მაგრამ თავი შეიკავა და გოგის არა უპასუხა რა.

პატარა ქალებმა უკანასკნელათ შემოატარეს ეტლით დედოფლები, და ეხლა სკამზე ისვენებდნენ. არჩილმა გაათავა კროკეტის თამაში, როდესაც ბაღის კარებში მაროს დედა გამოჩნდა. მას უკან, სუფრითა და თევშებით (საინებით) დედაკაცი მოსდევდა. პატარა ქალებმა მაშინვე დასვეს დედოფლები, სუფრა გაშლეს, ჭურჭელი დააღაგეს, მალე სუფრაზე ნაირ-ნაირი გემრიელი საქმელები გაჩნდა. კროკეტს თავი დაანებეს, და გაშლილ სუფრას ბუზებივით შემოეხვივნ.

გემრიელ სადილს ქადები და ნამცხვრები მოჰყვა. მარო ღარ-
ბოდა სუფრის გარშემო და ცდილობდა არავის არაფერი
დაჰკლებოდა. — ესეც შენი მარწყვი თქვა დედამ და დაუდგა წა-
როს წინ კალათით მარწყვი. მარწყვი ჩამოარიგეს. — შეხედეთ,
დაიყვირა არჩილმა, მე მარწყვის ყვავილი შემხვდა, რა ლამა-
ზია, სულ პატარა ასკილსა ჰგავს.

— რა უგავს ასკილს, შეეკამათა გოგი, ასკილი დიდი
ეკლიანი ბუჩქია, ყვავილებიც ხომ დიდი აქვს, მარწყვი კი
პატარა ბალახია. — ეს არაფერს არ ნიშნავს, უთხრა არჩილმა.
ასკილის და მარწყვის ყვავილები ჰგვანან ერთმანეთს: ერ-
თსაცა და მეორესაც ერთნაირი ფოთოლი აქვს, მრავალი ბუ-
ტკო და მტვრიანა. მე დედამ მითხრა რომ ეს ყვავილები
ვარდის ოჯახობას ეკუთვნიან.

— იქნებ იმასაც იტყვი რომ ვაშლიც და ბალიც ვარდ-
ყვავილიანებს ეკუთვნიან, იმათაც ხომ ასკილის მსგავსი ყვა-
ვილები აქვთ.

— მართლაც და ვარდის ოჯახობას ეკუთვნიან, მშვიდობი-
ანი ღიმილით მიუგო არჩილმა.

— ეგ სულ ტყუილია, წამოიძახა თავშეუკავებელმა გო-
გიმ. — ბალი და ვაშლი დიდი ხეებია, რა აქვთ იმათ საერთო
ვარდთან ან მარწყვთან. ნაყოფიც სრულებით არ უგავთ.

სხვა ბავშვებმა კამათში მონაწილეობა მიიღეს. ზოგი გო-
გის მხარეს იჭერდა. ზოგი კიდეც არჩილისას. უმეტესობა კი
გოგის მიემხრო. არ ვიცი რით გათავდებოდა ეს ლაპარაკი,
რომ ხმაურობაზე მაროს მამა არ შემოსულიყო ბაღში. ბავ-
შვებმა აღელვებულათ უამბეს საქმე რაში იყო, და მოუთმენ-
ლათ მოელოდნენ, როგორ გადასჭრიდა ის საკითხს, იმან ღი-
მილით გადახედა ბავშვებს და სთქვა: არჩილი ქეშმარიტებას
გეუბნებათ. ყველა ეს მცენარეები რომელზედაც თქვენ ლა-
პარაკობთ, მართლაც ვარდის ოჯახობას ეკუთვნიან, და კი-
დეც სხვა მრავალი: კომში, ნუში, ალუბალი, მსხალი, ქლია-
ვი, ატამი, მაქვალი, ზღმარტლი და სხვა და სხვა.

— ვაშა, გაუმარჯოს არჩილს, დაიყვირეს ბავშვებმა.

არჩილი ძალიან თავმოქონნით გამოიქვირებოდა. გოგის
გაახსენდა დიღანდელი ლაპარაკი და კიდეც უფრო შერცხვა.

ბავშვები აიშალნენ, მარომ სუყველას პატარა თაიგული
მიართვა. ამასობაში დაღამდა. პატარა ფარნები აანთეს, რამ-
დენიმე შუშხუნაც აუშვეს ჰაერში. ბოლოს ბავშვები მადლო-
ბით გამოეთხოვეს მაროს და მის მშობლებს, და დიდათ ნა-
სიემოვნები და მხიარული დაბრუნდნენ სახლში. ელენე.

ბიძა ჩემი ქიული.

(მოთხრობა ვიუ-დე მონპასანისა)



რთმა ძონძებში ვახვეულმა მოხუცმა მოწყალემა ითხოვა. ჩემმა მეგობარმა იოსებ დარვანშმა ხუთი ფრანკი მისცა. მე ძალიან გამიკვირდა, მომიბრუნდა და მითხრა:

— ამ საცოდივი მოხუცის დანახვამ მომაგონა ერთი ამბავი, რომელსაც ვიამბობ და რომელიც შთაბეჭდილი მაქვს ეხლაც გულში. აი ეს ამბავი:

„ჩემი დედ-მამა ჰაერში სცხოვრობდნენ. ღარიბები იყვნენ და ძლივს გამოდიოდნენ. მამა ჩემი რალაც სამსახურში იყო, ძალიან ბევრს მუშაობდა, მაგრამ ჯამაგირი ცოტა ჰქონდა. მე მყავდა ორი და.

დედა დიდის ვაი ვაგლაბით და გაქირვებით ასდიოდა ოჯახს და ხშირათ მამას უსაყვედურებდა. საწყალი კაცი ჩუმათ და მოჩინებით იტანდა ცოლის საყვედურს, შუბლზე ხელს გადისვამდა, თითქოს ოფლს იწმენდსო და ხვას არ იღებდა. მე კარგათ ვგრძნობდი რამდენათ მძიმე იყო ეს საყვედური და როგორ იტანჯებოდა. ყველაფერში ვყაირათობდით, არც ერთ წვეულებაზე არ დავიარებოდით, რადგან ჩვენც უნდა სამაგიერო გადაგვეხადა და ხარჯს ვერიდებოდით. ჩემი დები ტანისამოსს თითონვე იყრავდნენ. დიდი ბაასი და ანგარიში შეუდგებოდათ თუ კაბის მოსაველებათ დასქირდებოდათ რამე. დედა საქმელშიც კი ყაირათობდა. უბრალო რისიმე დაკარგვისათვის და დახვეისათვის დიდს ვაი ვაგლახს და ჩხუბს ამიტეხდნენ ხოლმე.

მულამ კვირა აუცილებლივ მთელი ოჯახობით სასეირნოთ დავდიოდით. დედ-მამა და დები საღვთისაწაულო ტანისამოსში შოირთვებოდნენ, მაგრამ საუბედუროთ სახლიდამ გამოსვლის წინათ არ შეიძლებოდა მამა ჩემის ტანისამოსზე



რაიჲ ლაქა არ შეემჩნიათ, დედა ხელთათმანებს ვაიხდოდა და წმენდას დაუწყებდა. ამასობაში ბევრი დრო გავდილობოდა. ლოს როგორც იყო სახლიდამ გამოვიდოდით. დედ მამა მკლავი-მკლავში გაყრილი, ორ დას წინ წაიძლოლებდენ, მე გვერდით ამომიყოლებდნენ და ისე მოწიწებით და ამყათ გზას გაუდგებოდით.

ყოველ კვირა, როდესაც კი ჩვენები შორიდან მომავალ გემს დაინახავდნენ მამა ჩემი წამოიძახებდა.

— აბა, ეხლა ჟიული რომ აქ გემით მოვიდეს რა სიხარული და ბედნიერება იქნება?

ბიძია ჟიული, მამა ჩემის ძმა, ჩვენი ოჯახის ერთადერთი იმედი იყო, თუმცა პირველ ხანში ის ძალიან ეჯავრებოდათ. იმაზე ლაპარაკი სახლში ხშირათ მესმოდა და ისე თვალ-ნათლივ მქონდა წარმოდგენილი, რომ პირველ დანახვისათანავე მე იმას ვიცნობდი.

იმისი თავდადასავალი სიყმაწვილიდამ იმ დღემდე, სანამ ამერიკაში გაემგზავრებოდა დაწვრილებით ვიცოდი, იმიტომ რომ ჩემი დედ-მამა ერთმანერთს უამბობდენ ხოლმე და ყველაფერი მესმოდა.

ის თურჲე ძალიან ცუდი ყოფაქცევის კაცი იყო. მამის დარჩენილი მემკვიდრეობა გაფანტა, მამა ჩემის ხვედრიც არ დაეზოგნა. ღარიბი კაცისთვის ფულების გაფანტვა დიდ მომაკვდინებელ ცოდვათ და უზნეობათ ჩაითვლება. მდიდარი ოჯახის წევრი ფულებს რომ ფანტავს, ალერსიანათ იტყვიან, სიცოცხლით სარგებლობსო, დროს ატარებსო, მაგრამ ღარიბი კაცისთვის კი ფულების უთავბოლოთ ხარჯვა დიდი დანაშაულია და სასჯელის ღირსია.

ერთი სიტყვით ბიძია ჟიულიმ თავის მამისაგან შექმნილი სიმდიდრე გაფლანგა და გაანიავა.

ის ნიუ-იორკში გაგზავნეს. იქ ვაჭრობა დაიწყო და მამა ჩემს სწერდა, ცოტაოდენ ფულსაც ვიგებ და იმედი მაქვს გაფლანგულ ფულს აგინაზღვარებთო. ამ წერილმა მთელი ოჯახი აღტაცებაში მოიყვანა. ყველანი იძახდნენ, რომ ჟიული ნამდვილი დარვანშია, გვარის განმანათლებელი.

ერთმა გემის უფროსმა გვიამბო რომ იმას, თურჲე ნიუ-იორკში დიდი მალაზია აქვს და დიდი ვაჭრობაც.

ორი წლის შემდეგ კიდევ წერილი მოგვივიდა და შემდეგს იწერებოდა:

„ჩემო საყვარელო, ძმაო ფილიპე, (ასე ერქვა მამას) მე



იმიტომ გწერ რომ თუ ვინცობაა წერილმა დაგიგვიანოს არ შესწუხდე. მე ხვალ სამხრეთ ამერიკაში მივემგზავრები და შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემი წერილი და ამბავი არ მოგივიდეს და არ შეწუხდე. სანამ — ძალიან არ გავმდიდრდები, ჰავრში არ დავბრუნდები. იმედი მაქვს დიდ ხანს არ გასტანს და მაშინ ბედნიერათ ვიცხოვრებთ“

ამ წერილის სიტყვები ჩვენთვის ნამდვილ სახარებათ გადაიქცა. ხშირათ ამ წერილს ამოიღებდნენ, კითხულობდნენ და სხვებსაც უკითხავდნენ. ათი წლის განმავლობაში აღარაფერი ამბავი აღარ მომგვცლია. მამას თან და თან უფრო მეტი იმედი ეძლეოდა, დედა კი იძახდა:

— აი, როცა კეთილი ბიძია ქიული მოვა, მაშინ სულ სხვანაირათ ვიცხოვრებთ. სწორეთ რომ პატოსანი და კეთილი კაცია. რომ ასე კარგათ გამდიდრებას ახერხებს.

მამა სულ ერთ და იგივეს იმეორებდა:

— რა კარგი იქნება, რომ იმ გემით ჩვენი ქიული მოვიდეს! ხანდის ხან ისეთ აღტაცებაში და ოცნებაში იყო რომ, ეგონა, გემიდან ვილაც ცხვირსახოცს უქნევს და უძახის:

— „ფილიპე!“

ამერიკილამ ჩამოტანილ სიმდიდრეს ათასნაირათ ანაწილებდნენ: მამას სოფელში სახლის ყიდვა უნდოდა და მგონი კიდევ ევაკრებოდა, მალე საქმის დაბოლოებას აპირებდა.

უმტროსი და ოცდა რვა წლის იყო, უმცროსი კი ოც. და ექვსისა, მაგრამ საუბედუროთ მთხოვნელები არავინა ჰყავდათ.

უმცროსი დის მთხოვნელი გამოჩნდა. ეს იყო ახალგაზდა მოხელე. ერთ ღამეს ბიძიას შესანიშნავი წერილი წააკითხეს და საქმეც გადასწყვიტეს.

ქორწილის შემდეგ უნდა ზღვით გაგვესეირნებინა და ერთ პატარა კუნძულ ჯერსეიზე, რომელიც ინგლისელებს ეკუთვნოდათ, წავსულვიყავით. ამ კუნძულზე გასეირნებას ჰავრის ყოველი ღარიბი ოჯახობა ფიქრობს და დიდ ბედნიერებათ მიიჩნიათ. ჩვენც, რასაკვირველია, დღე და ღამ სულ ამის ფიქრში ვიყავით და ამ ბედნიერ დღეს მოუთმენლათ მოველოდით.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ უცხო ქვეყანაში გავჩნდებოდით და ადგილობრივ იმ ხალხის ჩვეულებას გავეცნობოდით.

დადგა ეს ბედნიერი დღე და როგორც იყო გავემგზავ-



რეთ. გემი ქშენავდა და გრენვილის ნაპირებზე ჰფანტავდა. მამა ჩვენი ბარგის დალაგებას უყურებდა უმფროს დას მკლავი გაუყარა, რომელიც უმცროსი დის გათხოვების შემდეგ ცალათ დარჩა და გაშტერებული იყო. მამამ მე მომკიდა ხელი, სულ უკან კი ახალი ჯვარდაწერილი მოდიოდნენ. ასე წყვილ წყვილათ დავსხედით. გვმამა ერთხან იქანა, დაიწვილა, ასტვინდა და მაღე შუა ზღვაში შეეცურდით.

ზღვა მწვანე მარმარილოს ფიცარსა ჰგავდა, ჩვენ ამაყათ და აღტაცებით ვათვარიელებდით ნაპირებს. მამა სერთუკში იყო გამოწყობილი, რომელიც ისე გულმოდგინეთ გაეწმინდათ რომ ბენზინის სუნით ყარდა. უცბად იმის ყურადღება ორმა მორთულმა ქალ-ვაჟმა მიიქცია. ისინი მაგიდასთან ისხდნენ, ერთი ძონძებში გახვეული მოხუცი თავზე ადგათ და ხამანწყას სწმენდდა, ისინი დიდის მოწიწებით, ფრთხილათ და კოხტათ მიერთმევენდნენ, ეშინოდათ კაბა და ხელები არ გაესვართ.

მამას იმათ ხამანწყას ჯამა ძალიან მოეწონა, მოუბრუნდა დედას და ჰკითხა.

— არ გინდათ რამდენიმე ხამანწყა მოვატანინო?

დედას მგონია ხარჯისა მოერიდა და უპასუხა:

— არა, მეშინიან არ მაწყინოს. ბავშებს შესთავაზე. იოსებს არ უნდა, ბევრის ჯამა ბავშს აწყენს.

ჩემმა დებმა მამის წინადადება აღტაცებით მიიღეს.

— ამ ქალებს ხამანწყა მოართვი. მერე მომიბრუნდა და დაუმატა:— იოსებს არ უნდა, არ ვარგა რომ ბავში ბევრს ჯამას შეეჩვიოს.

მე დედას გვერდით ვიდექი და მისი ამგვარი დასკვნა ძალიან მეწყინა. შურით შევსცქეროდი, როდესაც მამამ თავის ქალებს და სიძეს ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა.

პირველად ხამანწყა მამამ ხელში აიღო, უნდოდა ეჩვენებინა, როგორ უნდა ჯამა, რომ ტანისამოსი არ გაისვაროს და მთელი წვენი ზედ გადაისხა. პატარა ხანს უკან მამა მოუბრუნდა დედას. დააკვირდა მოხუცებულს, რომელიც ხამანწყას სწმენდა. მამა აღელვებული იყო, დედას შეეშინდა და რადგან ქალები და სიძე გარს ეხვეოდნენ— ჩვენ მოგვიახლოვდა.

— იცი, უთხრა მამამ დაბლის ხმით, იცი ის ძონძებში გახვეული მოხუცი, რომელიც ხამანწყას ასუფთავებს ჟიულს ძალიანა ჰგავს!



დედა გაკვირვებული და შემკრთალი დაეკითხა:

— რომელ ქიულს?

— აი, ჩემ ძმას. მე რომ დარწმუნებული არ ვიყო რომ ის ეხლა ამერიკაშია და მდიდარია, სწორედ ის მეგონებოდა.

— შენ გადარწმუნებარ სწორედ!, — უთხრა დედამ, როდესაც იცი ნამდვილათ მისი მდგომარეობა, მაშ სისულელეს რაღათ ლაპარაკობ.

მამა მაინც ვერ დამშვიდდა.

— აბა, კლარა, შენ თითონ წადი და ნახე. იქნება მე თვალვებმა მიმტყუნა.

დედა მართლაც ადგა და მიუახლოვდა, ცქერა დაუწყყო, ეს საცოდავი კაცი ძალზე მოხუცებული იყო, სახე დაქმუჭნული ჰქონდა და თავს მალა არ იღებდა

დედა გამობრუნდა. შევამჩნიე რომ კანკალებდა და საჩქაროთ უთხრა მამას:

— მგონია რომ ის არის. აბა, წადი კაპიტანთან და ჰკითხე, რიგიანათ მოიქეცი, რომ არაფერი არ შევამჩნიოს და კისერზე არ მოგვახვიოს ის საძაგელი კაცი.

მამა წავიდა და მეც უკან ვაყვევი. კაპიტანი მალა-მალალი გამხდარი და გრძელ წვერა კაცი იყო.

მამამ გემის ქება დაიწყო. მერე ჯერსეის მნიშვნელობა გამოჰკითხა, იქაური ჩვეულება, ხალხი როგორ ცხოვრობს, მოსავალზე და ბევრი ამისთანა კითხვები მისცა. ბოლოს გემზე მოსამსახურე პირებზე გადავიდა და უთხრა:

— თქვენ აქ ერთი დამონძილი მოხუცებული გყავთ, რომელიც ხამანწყას ასუფთავებს, არ იცით ამ კაცის ვინაობა?

— ეს საფრანგეთიდან გადმოხვეწილი მაწანწალაა, ამერიკაში დამხვდა და წაპოვიყვანე. ჰაერში ნათესავეები ჰყოლია, მაგრამ იმათთან მისვლა არ უნდა, იმიტომ რომ ფული ჰპართებია. ამას ქიულ... ქიულ დარვანში ჰქვიან. ის მდიდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღაც უბედურ შემთხვევას დაულარიბებია და ამ მდგომარეობაში ჩაუგდია.

მამა გაფითრდა და ნაწყვეტ ნაწყვეტ წარმოსთქვა:

— დიახ, დიახ, ძალიან კარგი! მე სრულებითაც არ მიკვირს! — დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო კაპიტანო! დედასთან მოიბინა ისეთი ამღვრეული სახე ჰქონდა, რომ დედას შეეშინდა.

— დაჯექი, ბატონო სული მოითქვი, თორემ შევამჩნივენ. მამა სკამზე დაეცა და წაიბუტბუტა:



— ის არის, სწორედ ის არის! რა უბედურებაა, რა ვეჭნათ?

დედამ საჩქაროთ უპასუხა:

— უნდა აქედან ყმაწვილები მოვაშოროთ, წავიდეთ, მეორე ბოლოს დავსხდეთ, ვეცადოთ ჩვენმა სიძემ არაფერი შეგვაძინოს, იოსები გავგზავნოთ და ჩვენებს დაუძახოთ.

მამას არაფერი არ ესმოდა და სულ იძახოდა:

— რა უბედურებაა, რა უბედური შემთხვევაა!

დედა თანდათან უფრო კაპასობდა:

— მე ძალიან კარგათ ვიცოდი და გეუბნებოდი რომ იმ ქურდ ავაზაკისაგან არაფერ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ მეთქი! რა სიკეთისქმოტანა შეუძლია დავრანშის გვარის წევრს.

მამა გაჩუმებული იჯდა და ჩვეულებრივ შუბლზე ხელს ისევამდა.

— იოსებს მიეცი ფული, რომ ხამანწყის ფასი გადასცეს იმ საზიზღარ გლახას, ჩქარა წავიდეთ აქედან, მოვშორდეთ, რომ არ გვიცნოს და იმ საძაგელმა მათხოვარმა თავი არ მოგვკრას.

ღები მამის მისვლას ელოდენ. მე გადავეცი, რომ დედა ცუდათ ვახდა და ვერ მოშორდა. მერე ხამანცკის გამწმენდს მივმართე:

— რამდენი გერგებათ?

კინალამ „ბიძა ჩემო“ უთხარი, მაგრამ დროზე თავი შევიმაკრე.

— ორ ფრანკ ნახევარი, მიპასუხა მან.

მე ხუთი ფრანკი გადავეცი და ხურდა მომცა.

იმის ხელებს ვაკვირდებოდი, გამხდარი დაკმუქნილი მებღვაურის ხელები იყო, სახე მოხუცებული, საცოდავი, მოწყენილი, შეწუხებული და ნაღვლიანი. მე ჩუმად ვიმეორებდი:

— ეს მამი ჩემის ძმია, ბიძა ჩემი ძიული!

ნახევარი ფრანკი ვაჩუქე.

— ღმერთმა დაგლოცოს, ყმაწვილო!

ეს სიტყვები იმისთანა ხმით იყო წარმოთქმული, როგორც მათხოვარი, რომელსაც მოწყალებას გაუშვებ.

მე წარმომიდგა, რომ ის ოკეანის გადაღმაც მათხოვრობდა.

ე.კ. მესხი.

(ფრანგულით)



რედაქციაში იყიდება სურათი

—≡ წარსულთა
სსოვნას ≡—

ფასი 10 მანეთი.

წერაკითხვის საზოგადოებ.

წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ).

იყიდება შემდეგი ბელეტრისტული გამოცემანი: 1) ვ. ნო-
ნოშვილი I ტომი; 2) მისივე II ტომი; 3) ვ. ბარნოვის I
ტომი; 4) დ. კლდიაშვილის I ტომი; 5) მისივე II ტომი;
6) ან. ერისთავ-ხოშტარიასი „მოლიბულო გზაზე“; 7) გ. წე-
რეთლის „პირველი ნაბიჯი“; 8) მისივე კიკოლიკი, ჩიკოლი-
კი და კუდაბზიკა“; 9) მისივე „მამიდა ასმათი“; 10) მისივე
„რუხი შველი“; 11) ლალიონის მოთხრობები; 12) ზოგიკეს
„ახალი ტაღლები“; 13) ი. ქავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“;
14) მისივე „გლახის ნაამბობი“; 15) მისივე „გზავრის წერო-
ლები“; 16) ოთარაანთ ქვრივი“; 17) ლ. არღაზიანის „სო-
ლომონ მეჯღანუაშვილი“; 18) „ბნელო“ მელანიაისი; 19) შ.
არაგვისპირელი I ნაწ.; 20) მისივე II ნაწ.; 21) მისივე III
ნაწ.; 22) მისივე IV ნაწ.



—==ჯეჯილის==

ხელის მომწერლების საუკრადღებოთ

რადგან საბეჭდავი ქალაქის უზოგნელობა და დაბეჭვლა ზღაპრულ ხარჯებს იწვევს, რედაქცია ვე-
ლარ შესძლებს ამ № 5 (მაისის, ივნისის და ივლისის)
გარდა მისცეს ხელის მომწერლებს „ჯეჯილი“ იმ ფას-
ში (ათ თუმანში) და სთხოვს ყველას დამატებითი გა-
მოუგზავნონ რედაქციას 400 მ., რომ ამ წლის ბო-
ლომდი, 1920 წ. შესძლოს რედაქციამ შემდეგი 5
წიგნის დაბეჭვლა.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

დაარსებული 1890 წ.

ვიიღება ხელისმოდურა 1920 წ.

თითქმის ყველა წლების „ჯეჯილები“ იყიდება რედაქციაში
და ღირს თითო წლისა 120 მ.

ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მო-
ზრდილობათვის.

წლიურათ ეღირება 500 მანეთი.

მისამართი: თფილისი, საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“
რედაქცია (არტილერიის ქ. № 5.)

რედ.-გამ. ან. წერეთლისა.